საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 12 დეკემბერი. 2018 წ. №251 (8652) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ბორგი ოთხმეზურები:

აბსურდის თეატრი

რადგან ერეკლემ ტრაქტატს მოაწერა

③ ხელი, თურმე სალომეც რუსეთისკენ გვექაჩება...

ზურაბიშვილი ამერიკის სახელმწიფო მდივანს ესაუბრა

სატელეფონო საუბარი შედგა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილსა** და აშშ-ის სახელმწიფო მდივან **მაიკ პომპეოს** შორის.

— საუბრისას სახელმწიფო მდივანმა სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, სახელმწიფო საქმეში წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტი ვიზიტს აშშ-ში უახლოეს მომავალში განახორციელებს.

მაიკ პომპეომ სალომე ზურაბიშვილთან საუბრისას კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ მხარს უჭერეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავგიას თავლა ჩვენი დასაღაგებელია ⑤



ჰოლივუდი გვაფრთხილებს!

„პატრიოტთა ალიანსი“ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას ითხოვს

სასამართლოს გაუქმების მოთხოვნით პარტიის წევრებმა გუშინ ბათუმში სასამართლოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს.

მათი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით დაწესებული მორატორიუმის გაუქმება მოღალატეობრივი გადაწყვეტილებაა.

„ეს სასამართლო უნდა გაუქმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აქციებს გავაგრძელებთ“, — განაცხადა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა თენგიზ თავდგირიძემ.

ბრწყინვალების ორდენოსნები

საქართველოს პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ ადამიანის უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტის სასახლეში მიღება გამართეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ჰუმანური იდეების გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა:

ისაია — ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი (ზურაბ ჭანტურია); **თემურ ჩხეიძე** — რეჟისორი; **ზურაბ კიკნაძე** — მეცნიერი; **გელა კანდელაკი** — რეჟისორი; **მანანა მენაბდე** — მუსიკოსი; **ლევან ჭოღოშვილი** — მხატვარი; **ქეთი ხუციშვილი** — ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ხელმძღვანელი, **სვენდ ვოგე** — მუსიკათმცოდნე; **გურამ კაშია** — ფეხბურთელი.

გიორგი მარგველაშვილმა აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა მათ და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ვახტანგ ჭარაია წლის საუკეთესო ④ ახალგაზრდა მეცნიერია

რუსული კომპანიები საქართველოს ბიუჯეტიდან მილიონობით ③ ლარს ითვისებენ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად უთანაგრძნობს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს საყვარელი დედის

ციცინო ივანიშვილის

გარდაცვალების გამო.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „**საქართველოს რესპუბლიკას**“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ინაუგურაციაზე უცხოელ სტუმრებს ელიან

საქართველოს არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციას რამდენიმე ქვეყნიდან პარლამენტის თავმჯდომარეები და საგარეო საქმეთა მინისტრები დაესწრებიან, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძემ განაცხადა. მისი თქმით, სტუმრებთან დაკავშირებით მუშაობა გრძელდება.

„თუ რაიმე დაემატება, აუცილებლად შეიტყობთ. უშუალოდ პრეზიდენტებზე მიმდინარეობს მუშაობა. რაც შეეხება მაღალი დონის დელეგაციებს, სხვადასხვა ქვეყნებიდან დადასტურება გვაქვს პარლამენტის თავმჯდომარეების, მათი მოადგილეებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ჩამოსვლასთან დაკავშირებით“, — განაცხადა თოთლაძემ.

სალომე ზურაბიშვილის დაცვა რაოდენობრივად და ხარისხობრივად შემცირდება

ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელმა ანზორ ჩუბინიძემ განაცხადა. მისი განმარტებით, როცა საჭიროება არ არის, დაცვის ხარისხის კლება ხდება.

„დაცვა სხვადასხვა კატეგორიებს მოიცავს, ამაზე საუბარი რთულია, თუმცა გეტყვით, რომ ჩვენს სამსახურში განსაზღვრულია სხვადასხვა დონის დაცვა. როცა საჭიროება არ არის, ხარისხს ვუკლებთ. ეს გამოიხატება რაოდენობასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩართულობაში“, — განაცხადა ჩუბინიძემ.

საქართველოში კარგად ვაცნობიერებთ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას!

საქართველოში, მიუხედავად მიმდინარე და მწვავე პოლიტიკური დებატებისა, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიურ, რიგით მე-10 შეხვედრაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მადლობელი ვართ თქვენი აქტიური ძალისხმევისათვის, რაც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას; ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების პოპულარიზაციას, და ასევე დემოკრატიული განვითარების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გაძლიერებას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მისივე თქმით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტი ღია იყო სამოქალაქო საზოგადოების წევრებისათვის. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა სამაგალითო იყო 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, ისევე, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივა.

„ჩვენ უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ სამოქალაქო საზოგადოებისადმი მათი ჩართულობის, კრიტიკისა და პარტნიორობისათვის.

ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას საქართველოს პარლამენტში ვმასპინძლობთ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში, კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი მხარდაჭერისა სამოქალაქო საზოგადოებისადმი.

ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს პარლამენტი კვლავ ღია იქნება ნებისმიერი ინიციატივისათვის, კრიტიკისათვის და აქტიურად ითანამშრომლებს ქართულ და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი დემოკრატიის ძლიერება ამგვარ თანამშრომლობას ემყარება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

დესტაბილიზაცია არის მთავარი ლოზუნგი, რომელსაც სააკაშვილი დღეს მოგვიწოდებს

პარლამენტის ვიცე-სპიკერ გია ვოლსკის თქმით მიხეილ სააკაშვილმა თავის უკომპრომისო გეგმებზე საუბრით სერიოზულად შეარყია „ნაციონალური მოძრაობის“ და საერთოდ ოპოზიციის ავტორიტეტი საერთაშორისო დონეზე.

„ისედაც განელდა ინტერესი მისი პიროვნებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, მაგრამ მე ვფიქრობ, სააკაშვილის სწორედ ეს განცხადებები და შეძახილები არის ის ფაქტორი, რომელმაც საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენა ამ პარტიას, როგორც ოპოზიციურ და პოლიტიკურ ძალას. ეს ტენდენცია გაგრძელდება, ვინაიდან სააკაშვილი თავის პოზიციას არ შეიცვლის. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი და ჩვენი ხალხისა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული გამონათქვამები, მით უმეტეს კარგად იცის, რომ ამის რეალიზება საქართველოში შეუძლებელია. დესტაბილიზაცია არის მთავარი ლოზუნგი, რომელსაც სააკაშვილი დღეს მოგვიწოდებს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

მიხეილ სააკაშვილი ჩვეულებრივი ჯამბაზი გახდა

„მე მგონი, სააკაშვილი საინტერესო აღარ არის. ჩვეულებრივი ჯამბაზი გახდა თავისი მოწოდებებიდან გამომდინარე“, — განაცხადა თბილისის მერმა კალაძემ.

ცნობისთვის, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზოგადოებას საპროტესტო აქციების გამართვისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ვინმემ დაუბლოკოს ელჩი, წარმოუდგენელია!

აშშ-ს, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს ვინმემ დაუბლოკოს ელჩი, წარმოუდგენელი მგონია, — ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა საქართველოში აშშ-ის ელჩის დანიშვნის საკითხზე Foreign Policy-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციათან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც ჩუგოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს კითხვა თვითონ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მძლავრი ინსტიტუტია, ძალიან სერიოზულ შეურაცხყოფას აყენებს. მისივე თქმით, მსგავსი რამ მიუღებელია.

„აშშ-ის ელჩს ვერ დაუბლოკავს ვერავინ ვერსად და ვფიქრობ, ეს ყველამ კარგად იცის და თვითონ აშშ-ში იციან ძალიან კარგად. შეუძლებელია, ასეთი რამ მოხდეს. აშშ-ს გამოგზავნილი ჰყავს თავისი წარმომადგენელი საქართველოში. ზოგადად, ელჩები საქართველოს გარდა, ძალიან ბევრ ქვეყანაში არ ჰყავს დანიშნული და ეს თავიანთი საქმეა, მაგრამ, რაც შეეხება იმას, რომ აშშ-ს, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს ვინმემ დაუბლოკოს ელჩი, წარმოუდგენელი მგონია“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

ცნობისთვის, ამერიკული გამოცემა Foreign Policy წერს, რომ საქართველოს მთავრობამ აშშ-ის ელჩად ამერიკელი დიპლომატის ბრიჯიტ ბრინქსის კანდიდატურა დაბლოკა, რადგან მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ის ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ ზედმეტად კეთილგანწყობილია.

ახალი პროექტი — „კეთილი განწყობით“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახალ პროექტს „კეთილი განწყობით“ იწყებს.

ტურიზმის ინდუსტრიაში მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით მარკეტინგული კამპანია დაიწყო.

კამპანიასთან დაკავშირებით პრეზენტაცია „არტ ჰაუზში“ გაიმართა. ღონისძიებას ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ. ახალი კამპანიის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ გააცნო.

საქართველოში მომსახურების მაღალი ხარისხის ერთ-ერთ შემაფერხებელი ფაქტორი სერვისის სფეროში მომუშავე ადამიანებსა და მომხმარებლებს შორის არსებული არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კამპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ტურისტულად განვითარებულ ქვეყნებში ტარდება. კამპანიის მთავარი იდეაა მომსახურების სფეროში დასაქმებულთა და მომხმარებელთა მოტივაციის ამაღლება კეთილი განწყობის გასაზიარებლად. მარკეტინგული კამპანია გათვლილია როგორც მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანზე, ასევე მომხმარებელზე.

რუსმა მიტროპოლიტმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის პრობლემის გამო

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევს შეხვდა.**

შეხვედრაზე ეკლესიათა შორის არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს. მეუფე ილარიონმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის პრობლემის გამო და საქართველოს ეკლესიას გადმოსცა საბუთები, სადაც დაფიქსირებულია რუსეთის ეკლესიის პოზიცია.

მისმა უწმინდესობამ ბრძანა, რომ გაეცნობიან და შეისწავლიან როგორც მსოფლიო საპატრიარქოს, ისე რუსეთის ეკლესიის მიერ წარმოდგენილ მასალებს და წმ. სინოდის სხდომაზე იმსჯელებენ მათ შესახებ.

როგორც საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, მიტროპოლიტმა ილარიონმა და მისმა თანმხლებმა ორმა პირმა რუსეთიდან საქართველოში წმინდა აღმსარებელ თამარის (მარჯანიშვილი) წმინდა ნაწილები ჩამოაბრძანეს.

იღუმენია თამარ მარჯანიშვილი 1869 წელს დაიბადა. მან სასულიერო მოღვაწეობა 1899 წელს ბოდბის მონასტერში დაიწყო, თუმცა 1907 წელს რუსეთში გაიწვიეს. 1910-1912 წლებში ღირსმა თამარმა ღვთისმშობლის გამოცხადების შემდეგ სერაფიმო-ზნამენსკის სკიტი ააშენა. 1931 წელს იგი დააპატიმრეს და ბრალად დასდეს 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებთან კავშირი, რის გამოც 5 წლით ირკუტსკის ოლქში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებულ და დასნეულებულ დედა თამარს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს და იგი მოსკოვთან ახლოს დასახლდა. დედა თამარმა განსაკუთრებული ასკეტური ღვაწლით გაატარა ცხოვრების უკანასკნელი პერიოდიც და 1936 წელს გარდაიცვალა.

სქემ-იღუმენია თამარ მარჯანიშვილი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2016 წლის 22 დეკემბრის წმინდა სინოდის სხდომაზე წმინდანად შერაცხა და მას ღირსი თამარ აღმსარებელი უწოდა.

ჩვენ ვითხოვდით მისი წმინდა ნაწილების გადმოცემას და აი, 10 დეკემბერს, რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა (ალფეევი) და მისმა თანმხლებმა ორმა პირმა ჩამოაბრძანეს სიწმინდე და საქართველოს საპატრიარქოში მოაბრძანეს.

საქართველოს საპატრიარქოში წმინდა თამარის წმინდა ნაწილებს დედათა მონასტრების მონაზვნები დახვდნენ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კი მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა და ღირს თამარს საქართველო და ქართველი ერი შეავედრა, — აცხადებენ საპატრიარქოში.

რადგან ერეკლემ ტრაქტატს მოაწერა ხელი, თურმე სალომეც რუსეთისკენ გვექაჩება...



რამდენად მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო ღონისძიების დატვირთვა ერეკლე მეფისა და თამარ მეფის სიმბოლოებით და ნაადრევია თუ არა თამარ მეფესა და ერეკლე მეფესთან პარალელები? – ამის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ოთხმეზური გვესაუბრა.

– თამარ მეფესა და ერეკლე მეფესთან პარალელები ნაადრევია. საერთოდ, ნებისმიერი ჩვენი სახელმწიფო მოღვაწე მას შემდეგ უნდა შევაფასოთ, რაც საკუთარ მოღვაწეობას დაასრულებს. ახლა ქალ პოლიტიკოსზეა საუბარი და უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი მეფე იყო თამარი, მისი მსგავსი დიპლომატი ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოს ისტორიაში, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. გუშინ ვუსმენდი დავით ბერძენიშვილს, რომელიც საუბრობდა თამარის შესახებ და თქვა, თამარზე უფრო მეტად დემნა უფლისწულს ეკუთვნოდა მეფობაო. ადრეც დასმულა ეს საკითხი, როდესაც ჩვენი ისტორიიდან ათი საუკეთესო პიროვნების შერჩევა ხდებოდა, მაშინაც გამოვიდნენ თამარის საწინააღმდეგოდ, ყუთლუ არსლანის გამოხდომა თურმე პროგრესული იყოო.

დემნას მამამ, ანუ დემეტრე პირველის შვილმა – დავით მეხუთემ მამამისს მეფობა წაართვა, მოაწყო შეთქმულება, ძალადობრივი აქტით ჩაიგდო მეფობა ხელთ, დემეტრე პირველი იძულებით აღკვეცა ბერად, ხოლო თავისი ძმა გიორგი მესამე (ანუ თამარის მამა) ციხეში ჩააგდო. რაც მთავარია, ლეგიტიმაციას საქართველოში ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ცდილობდნენ, მეფობის საფუძველი ლეგიტიმური ყოფილიყო, რათა ის საეჭვოდ და საკამათოდ არ გაეხადა არავის.

როდესაც დავით მეხუთე, დემეტრე პირველის უფროსი ვაჟი, გარდაიცვალა, მის მიერ ბერად აღკვეცილი დემეტრე პირველი დაბრუნდა ტახტზე და მეფობა გააგრძელა. თანაც, დემეტრემ გიორგი მესამე აკურთხა თავის თანამოსაყდრედ და ამით ხაზი გაუსვა, რომ ის ცოცხალია, მეფობს კიდეც და თავის ვაჟს – გიორგის აკურთხებს თანამოსაყდრედ. ამით დემეტრე პირველმა გაამყარა გიორგის ლეგიტიმაცია.

დავით ბერძენიშვილმა კი თქვა, როდესაც დემნა სრულწლოვანი გახდა და მეფობა მოინდომა, ამის გამო დასაჯესო. ესეც არასწორია, ეს არის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის, ანუ ორბელთა გასომხებული შტოს წარმომადგენლის შეფასება. სწორედ დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ორბელთა ერთი შტო გასომხდა. სინამდვილეში, დავით მეხუთე გარდაიცვალა 1155 წელს, დემნა-ორბელთა აჯანყება კი მოხდა 1177, თუ 1178 წელს, ანუ დავით მეხუთის გარდაცვალებიდან 22-23 წლის შემდეგ, ანუ კარგა ხანია, დემნა სრულწლოვანი იყო. საქმეც ისაა, რომ ორბელებს უნდოდათ დემნას გამოყენება მეფის საწინააღმდეგოდ.

– თქვენ ყუთლუ არსლანი ახსენეთ. ყუთლუ არსლანი პარლამენტარიზმის ისტორიის საწყისად მიიჩნევა, რაც ევროპულ პარლამენტარიზმსაც კი უსწრებს, რადგან თამარ მეფის მოწინააღმდეგეებმა კარავი გაშალეს და ძალაუფლების გადანაწილება მოითხოვეს. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ისტორიულ მომენტს?

– კი ბატონო, ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნა ანტიკური ხანიდან და უფრო ადრინდელი პერიოდიდანაცაა ცნობილი. მოგვიანებით ამის შესახებ მსჯელობდნენ ჰეგელი, ფოიერბახი და ამას არქმევდნენ ხელისუფლების დანაწილების თეორიას, მაგრამ იმ პერიოდს და იმ ვითარებას უნდა დავაკვირდეთ, ეს არის მე-12 საუკუნის დასასრულის საქართველო. საქმეც ისაა, რომ იმ დროს ცენტრალური ხელისუფლება პროგრესულ როლს ასრულებდა ჩვენს ქვეყანაში და შემთხვევითი არ არის, რომ ეს პერიოდი „ოქროს ხანად“ არის წოდებული. არც ის არის შემთხვევითი, რომ თამარისნაირი პოპულარული მეფე საქართველოს თითქმის არ ჰყოლია. პოპულარობით თამარს მეფე ერეკლე თუ შეედრება. ყველა კუთხეში გვაქვს თამარის ციხე, თამარის კოშკი, ყველა კუთხეში ჰგონიათ, რომ თამარი იქ არის დაკრძალული. რაც შეეხება ყუთლუ არსლანს, მართალია, მისი დასის მიღმა შეიმჩნევა ხელისუფლების დანაწილების ელემენტები, მაგრამ ყუთლუ არსლანის დასს თავის ხელში უნდოდა საკანონმდებლო და სასამართლო უფლებების გადაცემა. თამარს მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ. სწორად შეაფასა თამარმა, რომ ეს იქნებოდა მისი მეფობის დასაწყისის დასასრული. რაც მთავარია, ეს იყო დიდაზნაურთა გამოსვლა მეფის წინააღმდეგ.

ყუთლუ არსლანი არავითარი სავაჭრო ფენის წარმომადგენელი არ ყოფილა, ის იყო ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელი და დიდაზნაურებს მისი მეშვეობით უნდოდათ გადატრიალების მოწყობა სამეფო კარზე. ამით უფრო მეტი პირადი თავისუფლების მიღებას ცდილობდნენ, რათა თამარ მეფე მათზე ყოფილიყო დამოკიდებული. არადა, ეს ისეთი პერიოდია, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება პროგრესულ როლს ასრულებდა ქვეყანაში, ამდენად, ყუთლუ არსლანის გამარჯვების შემთხვევაში ეს პროგრესულობა რეგრესულობად გადაიქცეოდა და ოქროს ხანაც აღარ იქნებოდა.

– დავუბრუნდეთ დღევანდელობას. მას შემდეგ, რაც ინაუგურაციის თელავში ჩატარების იდეა გახმიანდა, „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლება დაამშვიდა, ნუ ეშინია სალომეს, ჩვენ არაფერს მოვაწყობთო. ვინმეს ეშინია „ნაცმოძრაობის“?

– თუ რამის მოწყობის თავი აქვთ „ნაციონალებს“, განა თელავში ვერ მოაწყობენ? რა შეუშლით ხელს, თბილისში მოაწყობენ რაიმეს თუ თელავში? ისინი ტყუილად ბაქი-ბუქობენ და ვერაფერს ვერ იზამენ.

– ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, თამარ მეფესთან პარალელი თუ სურდა ხელისუფლებას, მაშინ ვარძიაში მოაწყობდა ინაუგურაციას. ხედავთ კი თქვენ თამართან ან ერეკლე მეფესთან პარალელების გავლების მცდელობას, როგორც ეს იყო სააკაშვილის ინაუგურაციისას, როცა ის დავით აღმაშენებელს ეტოლებოდა?

– არავითარ პარალელს არ ვხედავ, უბრალოდ, თელავში სამეფო სასახლეა და რა შუაშია ერეკლე მეფესთან, ან თამართან პარალელები? სხვათა შორის, ძალიან დიდი მეფე იყო ერეკლე და ზოგიერთები მას ტყუილად ლანძღავენ. ეს პარალელებიც აბსურდია, რომ რადგან ერეკლემაც ტრაქტატს მოაწერა ხელი, თურმე სალომეც რუსეთისკენ გვექაჩება. ვინ იქაჩება რუსეთისკენ, სალომე ზურაბიშვილი? საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც სალომე ზურაბიშვილი მუშაობდა, მნიშვნელოვან თანამდებობებზე არ სხედან რუსეთის აგენტები. **ძალიან კარგი ახსნა მოუძებნა თვითონ ძალბატონმა სალომემ თელავში ინაუგურაციის ჩატარების ფაქტს. სწორედ იმიტომ, რომ თელავმა ხმა არ მომცა, მინდა, სწორედ ამ ძალაძში ჩატარდეს ინაუგურაცია, რათა თელაველებს ვუთხრა, რომ მათი პრეზიდენტიც ვარ.** ეს გონივრული გადაწყვეტილებაა.

მიხეილ სააკაშვილს კი „Rebuilder“-ი ეწერა, ანუ ამით დავით აღმაშენებელთან ავლებდა პარალელს. თუმცა მთლად პირდაპირ აღმაშენებელი ვერ უწოდა საკუთარ თავს და ახალი აღმაშენებელი, ანუ ხელახლა აღმშენებელი დაირქვა.

– სხვათა შორის, ბილბორდებზე გამოსახულ სალომე ზურაბიშვილს თამარის ოქროს ჯვარი ამშვენებს. გამორიცხული არ არის, მას ჰქონდეს შინაგანი სურვილი, რამენაირად მიბაძოს თამარ მეფეს.

– ადამიანისთვის იდეალი უნდა იყოს ის პიროვნება, ვინც გამორჩეულია თავისი გმირული და კეთილი საქციელით. შინაგანი სურვილი შესაძლოა, ჰქონდეს სალომე ზურაბიშვილს, ასევე, ბევრ ლიდერ ქალბატონსაც უნდა ჰქონდეს ასეთი სურვილი, რომ თამარ მეფის მსგავსი მმართველი იყოს. ცხადია, ახლა მეფობა აღარ არის, ამიტომ თამარ მეფის მსგავსი პრეზიდენტი, ან პრემიერ-მინისტრი უნდა გვყავდეს, რათა ისეთი შედეგი დაუდგეს ქვეყანას, რაც თამარ მეფის დროს იყო. ეს მანდილოსანსაც უნდა უნდოდეს და მამაკაცსაც. ამ არჩევნების შემდეგ იმედი მაქვს, რომ სწორი განვითარების გზით წავა ჩვენი ქვეყანა.

ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე – ესენი უნდა იყვნენ ქართველებისთვის იდეალები. თუმცა თამარ მეფის დროინდელ ოქროს ხანას რომ მივაღწიოთ, ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება, მაგრამ უკეთესობა უნდა დავინახოთ და ვიგრძნოთ საკუთარ თავზე. ამ უახლოეს წლებში ოქროს ხანა ნამდვილად არ დაგვიდგება. ხშირად ვამბობ ხოლმე, როგორ მოახერხა დავით აღმაშენებელმა, რომ დაშლილი, დაქსაქსული, გაუბედურებული, თურქ-სელჩუკებისგან წალეკილი და აოხრებული ქვეყანა ააყვავა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მას გვერდში დაუდგა ამდენი ხალხი და გაყვა მის გზას, რადგან ხალხმა დაინახა, რომ დავით აღმაშენებელმა კანონის უზენაესობა, სამართლიანობა დაამკვიდრა ქვეყანაში. პირველ რიგში, ეს მოეთხოვება ყველა ხელისუფალს.

სტალინი ვინც იყო, ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის, მაგრამ გენიოსი და ძალიან ძლიერი მმართველი რომ იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. შემთხვევითი არ იყო, რომ ხალხი მოუთმენლად ელოდა, თუ არ ვცდები, 1 მარტის დადგომას, როცა ქვეყნდებოდა სია და უმნიშვნელოდ, თუნდაც კაპიკებით იაფდებოდა პირველადი მოხმარების საგნები. ჩვენმა ხალხმაც უნდა დაინახოს, რომ სამომხმარებლო საგნებზე ფასები ეცემა და შემოსავალი მატულობს, მიუხედავად ინფლაციისა, რომელიც მთელ მსოფლიოშია და ჩვენზეც მოქმედებს. ასევე, ჩვენზეც აისახება მეზობელი ქვეყნების არეულობა, ეს თურქეთი იქნება, რუსეთი თუ უკრაინა.

მანანა ნოზაძე

რუსული კომპანიები საქართველოს ბიუჯეტიდან მილიონობით ლარს ითვისებენ!

„2012 წლიდან დღემდე რუსულმა კომპანიებმა საქართველოს ბიუჯეტიდან 159 მილიონი ლარი მიიღეს“ – ამ ინფორმაციას, საჯარო დოკუმენტებზე დაყრდნობით, გამომძიებელ ჟურნალისტთა ქსელი „აი, ფაქტი“ ავრცელებს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, საქართველოში 194 რუსული კომპანია ოპერირებს, რომელთაგან 33 სახელმწიფო შესყიდვებშიც არის ჩართული.

რუსული კომპანიების მომსახურებით სარგებლობენ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური, ისე საჯარო სკოლები, უნივერსიტეტები და სხვა უწყებები.

„სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ რუსულ კომპანიებთან ისე, რომ უხერხულობის განცდა არ უჩნდება არც ერთ მხარეს. სამშენებლო სფერო მათი პრიორიტეტი და პერიოდულად რუსული კომპანიები იგებენ ამ ტენდერებს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფო არ აცხადებს კონკურსს და თავად ირჩევს პრეტენდენტს, რომელსაც უნდა გაუფორმოს ხელშეკრულება“, – უთხრა რადიო „თავისუფლებას“ „აი, ფაქტის“ ჟურნალისტმა **ნინო ბაძრაძემ**.

მონაცემების მიხედვით, 2012 წლიდან დღემდე რუსულ კომპანიებთან 213 ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთაგან 43 კონკურსის გარეშე შეარჩიეს, 158 ხელშეკრულება კი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას ეხება.

„შემდეგ როგორ გვიბრუნდება ეს ფული უკან, რა სახით? ეს ხომ არ არის კეთილგანწყობილი მეზობელი. იგი ყოველთვის ამ ფულს ჩვენ საწინააღმდეგოდ ხომ არ გამოიყენებს? ასეთ შემთხვევაში მორალური კითხვა ჩნდება.

მასალის ნახვის შემდეგ საზოგადოებამ თავად უნდა შეაფასოს ვითარება და ბევრია გაცემული თანხა თუ არა“, – თქვა ჟურნალისტმა ნინო ბაქრაძემ.

ზოგ შემთხვევაში კომპანიის სახელწოდების მიხედვით ძნელია, გაიგო, არის თუ არა ის რუსული კომპანიის მფლობელობაში და ეს თანამშრომლობა მოამარაგებს თუ არა რუსეთის ბიუჯეტს, მაგრამ, როგორც ნინო ბაქრაძემ შენიშნა, საჯარო უწყებისთვის არ უნდა იყოს რთული პირველადი მფლობელის გაგება, იმის გათვალისწინებით, რომ ეს საჯარო, ღია ბაზებია, საიდანაც თავადაც მოიპოვეს ინფორმაცია.

ანი ბურდული

საკონსტიტუციო სასამართლომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო. **სასამართლომ კიდევ გამოავლინა ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა, თუმცა, საბედნიეროდ, შეზღუდვა მხოლოდ 16 დეკემბრამდე მოიხსნა. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამოქმედდება ახალი კონსტიტუცია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებაზე აკრძალვას კვლავ დააწესებს.**

მორატორიუმის არაკონსტიტუციურად ცნობაზე სარჩელი სასამართლოში საბერძნეთის მოქალაქეებმა პროკოპი სავიდიმ და დიანა შამანიდიმ შეიტანეს, რომლებიც საქართველოში მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირებას მორატორიუმის გამო ვერ ახერხებდნენ.

როგორც იურისტი **ლევან ალაფიშვილი** განმარტავს, საქმე მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მემკვიდეობით მიღებულ მიწის ნაკვეთებს ეხება და არა მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყიდვა-გაყიდვას. იგი ადასტურებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რეალურად, ძალაშია მხოლოდ 16 დეკემბრამდე, ანუ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელია** ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება პირველი არ არის, ამის პრეცედენტი უკვე იყო პრაქტიკაში და სწორედ პრეცედენტით იხელმძღვანელეს მოსამართლეებმა.

„ამ კუთხით ახალს ვერაფერს ვიტყვით. მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ 16 დეკემბერს ახალი კონსტიტუციის თანახმად, ჩნდება ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდვას უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირებთან მიმართებაში. ამასთან ახალი კონსტიტუცია ასევე მიუთითებს ახალ ორგანულ კანონზე, რომელიც დაარეგულირებს ამ ურთიერთობებს. ამიტომ რამდენიმე დღის ინტერვალში მე არ ველი განსაკუთრებულ ცვლილებებს. პროცედურულად ეჭვი მეპარება. რაიმე ისეთი ტრანზაქცია გაიპაროს, რამაც შესაძლოა, ამ მიდგომას ხელი შეუშალოს“, — აცხადებს დანელია.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ახალი კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს. საკითხი შესწავლილი და გაანალიზებულია, შესაბამისად, ამ ნაწილში რისკები არ არსებობს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი **ბაჩო ჯინჭარაძე** აცხადებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებზე უპირობოდ არ უნდა გასხვისდეს. ერთადერთი პირობა შეიძლება დიდი საინვესტიციო ვალდებულებები აღმოჩნდეს, რამაც მთავრობა ამგვარ გადაწყვეტილებამდე შეიძლება მიიყვანოს.

აგრარული სფეროს სპეციალისტი **ანზორ მესხიშვილი** ამბობს, რომ ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე საკონსტიტუციო სასამართლოს უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა ბათილად არ უნდა ეცნო.

„პრინციპული პოზიციაა, რომ საერთოდ არ გაიყიდოს უცხოელებზე მიწა, სანამ მიწის ბალანსი არ გვექნება. პარლამენტში მომზადებულია კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ და სანამ ის ძალაში არ შევა, გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოთ. რაღა დარჩა, აცალონ ახალ კონსტიტუციას ძალაში შესვლა!“ — აღნიშნა მესხიშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე პრაქტიკულად 1 კვირა რჩება. რას ემსახურებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავგამოდება, საერთოდ გაურკვეველია. ერთ კვირაში უცხოელებზე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებული მანიპულაციები საბოლოოდ დასრულდება.

ბექა დანელია

საგანს „თავდაცვა და უსაფრთხოება“ სკოლებში სამხედრო გამოცდილების მქონე პირები წაიკითხავენ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **ნუკრი გელაშვილმა** მედიასთან გამართულ პრესკონფერენციაზე საგნის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ სკოლაში სწავლების საკითხზე და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ბოლო დროს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია საგნის „თავდაცვა და უსართხოება“ სკოლაში სწავლების საკითხმა. მინდა, მოგახსენოთ, რომ სასწავლო მასალის დახვეწაზე თავდაცვის სამინისტრო, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ერთობლივად მუშაობს. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა ელექტრონული ფორმით მუშავდება და დასრულების შემდეგ, რეკომენდაციებისთვის საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს გადაეგზავნება. ამის შემდეგ სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის,“ — განაცხადა ნუკრი გელაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებთან სკოლაში საგნის დანერგვის მიზანი განმარტა.

„პროექტის მიზანია, ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება თავდაცვის სისტემებზე, საქართველოს თავდაცვის ძალებზე და სამოქალაქო უსაფრთხოებაზე, ასევე პრაქტიკული უნარების შეძენაზე და ასევე, ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაზრდა. საგანს „თავდაცვა და უსაფრთხოება“ საპილოტე რეჟიმში შერჩეულ სკოლებში სამხედრო გამოცდილების მქონე პირები წაიკითხავენ, რომელთაც მასწავლებელთა მომზადების შესაბამისი კურსი გავლილი ექნებათ“.

მინისტრის მოადგილემ საუბრის დასასრულ მედიის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი ინფორმაციის გავრცელებას ხელი არ შეუწყონ.

„ყველა დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას საშუალება ექნება სასწავლო მასალის ელექტრონულ ვერსიასთან დაკავშირებით მოგვაწოდონ თავიანთი რეკომენდაციები როგორც პილოტირების დაწყებამდე, ასევე პილოტირების პროცესში სასწავლო მასალის დახვეწის მიზნით“, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ვახტანგ ჭარაია წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ჭარაია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გადაწყვეტილებით, წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერად დასახელდა.

ვახტანგ ჭარაია ამჟამად რამდენიმე ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარმომადგენელია. კერძოდ, ის გახლავთ თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი; საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის აფილირებული ლექტორი; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონტრაქტორი; საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტიპენდიატი; სკოპუსის ბაზაში შემავალი შვედური ჟურნალის „Central Asia and the Caucasus“ თანარედაქტორი; ბრიტანული ორგანიზაცია „International Alert“-ის ექსპერტი-ეკონომისტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტების ასოცირებული პროფესორი და 3 სხვა უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი საქართველოში. ვახტანგ ჭარაია სისტემატურად კითხულობს ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ატარებს ტრენინგებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ვახტანგ ჭარაიას სხვადასხვა დროს უსწავლია და სტაჟირება გაუვლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო ანგარიშებისა და ფინანსების სახელმწიფო ინსტიტუტში (ინდოეთი), პასაუს და ბრემენის უნივერსიტეტებში (გერმანია), პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტში (რუსეთი), ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი), პეკინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ჩინეთი), ჯორჯ ვაშინგტონის და ჰარვარდის უნივერსიტეტებში (აშშ).

მას მონაწილეობა მიუღია 50-ზე მეტ ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში. მის ანგარიშზეა ევროკავშირის, ცალკეული სახელმწიფოებისა და ათეულობით ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები, სტიპენდიები, ჯილდოები და მადლობის წერილები. ვახტანგ ჭარაიას სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ჟურნალებში, არის 2 მონოგრაფიის ავტორი. ის აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური ეკონომიკური საკითხების ანალიზში, რის გამოც მას ხშირად იწვევენ საერთაშორისო დონის ღონისძიებებში.

მსესხებელთა საყურადღებოდ!

პრობლემური სესხების შესახებ ინფორმაცია ატვირთულია მხოლოდ ამ პროექტისთვის შექმნილ ვებგვერდზე vali.ge

ამ დროისთვის, სოციალურ ქსელსა და ინტერნეტში უკვე შექმნილია რამდენიმე გვერდი, (მაგალითად: http://wali.ge/) სადაც განთავსებულია სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის სარეკლამო ინფორმაციები, ამიტომ თხოვნაა, პრობლემური სესხების მფლობელებმა ყურადღება მიაქციონ, რომ სესხების შესახებ ინფორმაცია ატვირთულია მხოლოდ და მხოლოდ პრობლემური სესხების განულებისთვის შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე — vali.ge

დღევანდელი ინფორმაციით უკვე ატვირთულია ინფორმაცია 407 ათასზე მეტი მსესხებლის შესახებ

ვებგვერდზე Vali.ge ატვირთულია ინფორმაცია 407 ათასზე მეტი მსესხებლის, 679 ათასზე მეტი სასესხო ჩანაწერის შესახებ, რომელთა სასესხო დავალიანების მთლიანი მოცულობა შეადგენს 3 მილიარდ ლარზე მეტს.

ვებგვერდზე საკუთარი მონაცემების შესამოწმებლად საჭიროა სამი მარტივი ეტაპის გავლა:

მსესხებლის პირადი ნომრის შეყვანა;

დაბადების დღე/თვე/წელი შეყვანა;

უსაფრთხოების მიზნით სპეციალური გრაფის „მე არ ვარ რობოტი“ მონიშვნა.

აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ, თუ მსესხებელი იპოვის თავის მონაცემებს, ეს ნიშნავს, რომ მას 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში გაუნულდება ვებგვერდზე გამოტანილი დავალიანება.

ამ ეტაპისთვის ვებგვერდზე ატვირთულია შემდეგი საფინანსო ორგანიზაციებიდან შეძენილი სესხები/კრედიტები:

სს „საქართველოს ბანკი“
სს „თიბისი ბანკი“
სს „ლიბერთი ბანკი“
სს „სილქ როუდ ბანკი“
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“
სს „იშბანკი საქართველო“

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სხვა საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და უახლოეს პერიოდში ერთიან მონაცემთა ბაზას დაემატება მათი მონაცემები.



ჰოლივუდი გვაფრთხილებს!



ავგიას თავლა ჩვენი დასალაგებელია

„ამოუტენეთ ადამიანს გონება ცნობებით, ფიტულივით ამოტენეთ ამ წყეული ფაქტებით და ეგონებათ, რომ ბრწყინვალე განათლება მიიღეს. ეგონებათ, რომ აზროვნებენ და წინ მიდიან. სინამდვილეში ადგილზე იქნებიან გაყინული, თუმცა თვითონ ბედნიერად იგრძნობენ თავს.“

რეი ბრედბერი – „451 გრადუსი ფარენჰეიტით“.

„ARSEBOMBS ცნება – ციფრული მოქალაქეობა. წლებია, ვსაუბრობთ, რომ უნდა ვიყოთ მოქალაქეები, გვქონდეს ფასეულობები, ღირებულებები, მაგრამ ამის პარალელურად ანუ, კომენტარების სახით თითოეულმა მათგანმა უნდა ვაკონტროლოთ, რომ ძალადობრივი ენა არ გამოვიყენოთ“ – აცხადებს **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი**.

კარგად დაკვირვებაც არ უნდა იმ ფაქტს, რომ „ციფრული მოქალაქის“ ჩამოყალიბება, საკმაოდ დიდი პრობლემაა. პრინციპში, პრობლემა კი არა – უბედურება, რომელიც დღეს მთელს მსოფლიოს ემუქრება.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ უბედურებას ყველაზე აქტიურად ჰოლივუდი ებრძვის. დიახ, სწორედაც რომ ჰოლივუდი, სადაც უამრავი ფილმი გადაიღეს თემაზე, თუ როგორ ხდება ადამიანის ტვინის გამორეცხვა. მისი პიროვნული თვისებების გასწორხაზოვნება. ერთი საკვები, ერთი ტანსაცმელი, უსიცოცხლო სახეებით სამსახურში წასვლა. არანაირი წიგნი, მუსიკა, ფილმი. არანაირი ალკოჰოლი, სიყვარული და ყველაფერი ის, რისთვისაც შექმნილია ადამიანი.

ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. ყველა მაძღარია, შემოსილი, შრომობენ, არა აქვთ არანაირი ყოფითი პრობლემა, მაგრამ...

ეს უკვე არა ადამიანები, არამედ რობოტები არიან. ისინი ჭამენ იმას, რაც დადგენილია სხვადასხვა კვლევებისა და მონიტორინგის შედეგად, იცვამენ იმას, რაც ასევე სხვადასხვა რეზოლუციებშია ასახული, იძინებენ მაშინ, რაც დადგენილი და გამოთვლილია. აკეთებენ იმას, რაც ასევე დადგენილია.

„მე დღეს შემწვარი კარტოფილი მინდა!“ „არ შეიძლება, იმიტომ, რომ დღეს ოთხშაბათია და ჯანდაცვის რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ოთხშაბათს კარტოფილი მავნებელია. ამიტომ ბარდა უნდა მიირთვა!“

„მე დღეს ყვითელი მაისური უნდა ჩავიცვა!“ „არ შეიძლება, იმიტომ რომ ამა და ამ რეზოლუციით პარასკევს წითელი პერანგი უნდა გეცვას!“

დ.ა.შ. და დ.ა.შ.

ადამიანები, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით, აღარ არიან!

მაგალითისთვის ფილმი „მატრიცაც“ კმარა.

მატრიცაში მოქცეულია მთელი სამყარო, მაგრამ, საბედნიეროდ, კიანუ რივზის გმირი ანგრევს ამ არანორმალურ არსებობას და ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ დგებიან არა „ჰარმონიული და იდეალური“ არსებობის წინაშე, რომ მათ ექნებათ პრობლემები საკვების მოპოვების, სიცივის გამკლავების და სხვა მრავალი წინაღობის გადალახვის დროს, უბრუნდებიან ნამდვილ ცხოვრებას.

გაგიკვირდებათ და დღევანდელ საქართველოს რომ ვუყურებ, რატომღაც ჰოლივუდის ის ფილმები მახსენდება, პოლიციაზე რომ არის გადაღებული.

მთელი განყოფილება სავსეა თავკერძა, უტვინო, უნიჭო და გამორჩენაზე ორიენტირებული ტიპებით.

ღვთის წყალობით, ორიოდ პროფესიონალიც მოიძებნება, მაგრამ ისინი არ დადიან ჰალსტუხებით, არა აქვთ კედელზე დამაგრებული სერტიფიკატები, სვამენ ალკოჰოლურ სასმელებს და არღვევენ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს (კიდე ერთი მთავარი – სახლში ცოლები ეჩხუბებიან).

ხდება სერიოზული დანაშაული. ქალაქი საფრთხეშია. ის „გალუსტიკ-სერტიფიკატიანი ტიპები“ რაღაც სისულელეებს აკეთებენ და ხშირ შემთხვევაში თავიანთი თავკერძობით დამნაშავეებს უწყობენ ხელს.

ის ერთი-ორი „ჯიგარი“, თავიანთი რეალური აზროვნებით, სწორ კვალზე დგებიან. მათ დამნაშავეები ემუქრებიან, ესვრიან, იჭერენ, აწამებენ. ამ დროს კი ის თავკერძები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან, უფროსობასთან აბეზღებენ (ნუ, ის თავკერძა ტიპები ვერ იტანენ ამ არასტანდარტულ ტიპებს და რა ქნან?).

საბოლოოდ, ფილმში ყველაფერი კარგად მთავრდება, მაგრამ ის ჰოლივუდია. ჰოლივუდიი...

საქართველო არის ქვეყანა, სადაც ხალხს ვანოს შოუს მონოლოგის უფრო სჯერა, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ მართლა რეალურად გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების გახმიანება.

ასეც იქნება იმიტომ, რომ ვანო ჯავახიშვილს თავის უკბილო იუმორში „ჭკვიანი“ და ამ საქმეში გაქნილი ადამიანები ეხმარებიან. მათ კარგად იციან ხალხის ფსიქოლოგია, ზუსტად ურტყამენ იქ, სადაც დასარტყმელია და ამ ყველაფერზე ზუსტად გათვლით უწერენ ტექსტს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი თვითონ ბაასობენ, რადგანაც თავად იციან, რომ მათ აპარატში მომუშავე სერტიფიკატიანმა ტიპებმა ხალხის ფსიქოლოგია კი არა, საქართველოს ისტორიაც არ იციან.

სწორედ ეს არის უმთავრესი მომენტი იმ ამაზრზენ სისულელეებში, რასაც ხაზგასმით აპელირებენ საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის წინ.

არადა, რომ დავფიქრდე, ნამდვილად არ მიკვირს, როცა გაიძახიან სალომეს პრეზიდენტად არ ვცნობთო.

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ე.წ. „გაერთიანებულ ოპოზიციას“ „ბაში-აჩუკი“ წაკითხული კი არა, ნანახიც არა აქვთ, ფრაზა – ის თქვენი ფალავანი ახლა გინდ შაიტანეთ, გინდ გამაიტანეთო – რომ იცოდნენ. „დათა თუთაშხიაზე“ ხომ ლაპარაკიც არ მაქვს, მაგრამ დათას ფრაზას ოდნავი ინტერპრეტაციით მაინც გავიმეორებ (ციხეში დარჩოს რომ ეუბნება მისი ორიენტაციის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ) – აწი რამდენიც უნდათ, იმდენი „იბორგონ“, „ის საქმე უკვე მოხდა“ და... ჩვენ გაშმუთული „ოპოზიცია“ არ გვჭირდება.

ვუსმენ, ვკითხულობ და ვფიქრობ: ამათ რევოლუცია ლობიოობა ჰგონიათ, თუ მარიაჟობენ?

დავიწყოთ „ლობიოობიდან“:

– რევოლუციის უმთავრესი პრინციპი არის იდეა, ხალხი და პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხს ამ იდეისკენ წაიყვანს! (ეს აძსიომაა).

მივმართავ ნაცებს და მათ სატელიტებს: ახლა ლენინივით არ იყვიროთ – არის ასეთი პარტიაო! და არ დაამატოთ – გაერთიანებული ოპოზიციაა ის ძალაო!

იმ „ხალხმრავალი“ აქციის შემდეგ, როცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ „რუსთაველის გამზირი ჩაზნიქა“, აღარ იყვირებთ ხომ? ძალიან კარგი. ე.ი. მიგხვდარხართ, რომ რევოლუცია ლობიოობა არ არის.

დამატებით გეტყვით, რომ რევოლუციებს ახდენს ხალხი, ვისაც ბორკილების მეტი არაფერი აქვს დასაკარგი! (ესეც რევოლუციის კლასიკური პრინციპია).

არ ვჭამ „სუხარს“, რომ ხრაშუნის ხმა მიშლიდეს ხელს, მაგრამ რატომღაც ბორკილების ღრჭიალი არსაიდან არ მესმის (ნუ „რუსთავი-2“-ს არ ვგულისხმობ). ასევე გასათვალისწინებელია ქართველი ადამიანის მენტალიტეტი. საქართველოში რევოლუცია კი არა, გლეხთა აჯანყებაც არასდროს მომხდარა (მე-19 საუკუნე არ ითვლება. იქაც სრულიად სხვა მიზეზები იყო).

და ვერსად ვხედავ იდეას. რეალურ, რევოლუციურ იდეას.

სად არის იდეა?

„გადადგეს ივანიშვილი“ (რომელსაც არანაირი პოსტი არ უჭირავს) და „მიჰა ჩამოვიდეს“ არის იდეა?

რა ვიცი, რა ვიცი. რატომღაც არა მგონია.

კიდევ არის მრავალი ნიუანსი: მაგ: სულ ცოტა, ერთი ცალი კრეისერი „ავრორა“ მაინც უნდა გყავდეს, ლატვიელი მსროლელების პოლკი და მთვრალი მატროსები უნდა გიჭერდნენ მხარს (ეს დედაქალაქში), რეგიონებში კი რევკომები და პარტიული ორგანიზაციები უნდა მუშაობდნენ.

გაერთიანებული ოპოზიციიდან ვის ჰყავს რაიონებში რევოლუციურად განწყობილი პარტაქტივი? ნაცებს პარტაქტივი ჰყავთ, უდავოა, დანარჩენებს კი ორგანიზაციები კი არა, „პარტუჯრედებიც“ არ ჰყავთ. მაგრამ ნაცების პარტმუშაკებისთვის მთავარი რევოლუციური იდეალებისთვის თავის გაწირვა კი არა, კარგი სახრავსათქვლეფია (დათვალეთ პორტირებულების რაოდენობა და მიხვდებით).

მოკლედ რომ ვთქვა, ნუ მარიაჟობთ და ხალხს ნუ აბოლებთ. თქვენგან განსხვავებით, ჩვენ წიგნებს ვკითხულობთ და იქიდან შესაბამისი დასკვნები გამოგვაქვს

რა მაგის პასუხია და, რატომ ეკუთვნის ბიუჯეტიდან 1000000 (ერთი მილიონი!) ლარი პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, ვინც ხმების 10% აიღო?

რა დამსახურებისთვის უნდა მივცე ჩემი ფული ვიღაც პოლიტიკანს, რომელსაც არც მე და არც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ენდობა?

მივმართავ ფინანსთა სამინისტროს – ჩემი გადასახდელი წილი გადარიცხეთ მოხუცთა თავშესაფარში. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავ სასამართლოს ჩემი ნების გარეშე, ჩემი თანხების განკარგვის გამო.

დაე წავაგო ეს პროცესი, მაგრამ ეს იქნება დასაწყისი ყარტაყურტა პარტიების დაფინანსების წინააღმდეგ!

ჰო, ისე ზოგადი ცნობებისთვის – მე მარტო არ ვარ. უამრავი ადამიანია ამ უაზრო კანონის თუ დადგენილების წინააღმდეგი! (ნაცებიც ბევრი იქნება).

არა, მართლა ძალიან „საინტერესო“ სიტუაციაა.

ვიღაც უვიცები, რომლებიც იბრალებენ პოლიტიკოსობას და ძალიან ბევრი წელი ბიუჯეტის, ანუ ჩვენს ფულს ხრავდნენ, მაგ: ის ე.წ. „კვალიფიციური პარტიები“ და ათასი არამზადა, რომლებიც მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცის ჯგუფელები არიან, ვიღაცას დროზე უღალატეს დ.ა.შ. აღმოჩნდნენ სატივტივო ადგილას (და მსგავსნი დღევანდელ სივრცეშიც ძაააალიან ბევრნი არიან), ისევ ცდილობენ, რომ ტბაში ჩაკუკებულებივით ამოტივტივდნენ და თუ ზუსტად დავინახავთ მათ სურვილს, ადვილად მივხვდებით, რომ მათ უნდათ არა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, არა საზოგადოების პრობლემების გათავისება, არამედ ტივტივი! ისევ და ისევ ტივტივი!

სანამ ხალხი არ ვეტყვით ამათ – ახლა დაახვიეთ აქედანო და სანამ მოტივტივე საგნებზე დახარბებული მედია მათზე ილაპარაკებს, მუდამ ამ იდიოტურ მდგომარეობაში ვიქნებით.

ხალხო, თქვენ გეკითხებით: არ მოგწყინდათ ეს მოტივტივე საგნები?

არა? კარგი, აბა ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!..

შორიდან გამოგიგზავნით ჰაეროვან კოცნას (ახლოს სუნი შემაწუხებს).

მოკლედ რომ ვთქვა, საპრეზიდენტო არჩევნებზე დავინახეთ, რომ ქვეყანა ავგიას თავლას დაემსგავსა და... ისიც დავინახეთ, რომ ჩვენი, მხოლოდ ჩვენი დასალაგებელია.

გია გაბრიჭიძე

112-ის სასწავლო ცენტრი ძლიერდება

3-11 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-მა, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ტრენინგი და ე.წ. ქოუჩინგის სესია ჩაატარა. სასწავლო-საკვალიფიკაციო კურსში „112“-ის იმ თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ხელმძღვანელობენ ქოლცენტრს.



აღნიშნული ტრენინგისა და ქოუჩინგის სესიის მიზანია, „112“-ში დაიგეგმოს პიროვნულ განვითარებაზე და სერვისის ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიდგომა. „112“-მა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქოლცენტრის ოპერატორის პროფესიის განვითარების მიმართულებით. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტი სწორედ ოპერატორის პროფესიის მნიშვნელობისა და ღირებულების წარმოჩენას, ასევე ოპერატორებისთვის განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი პროგრამის შემუშავებას ითვალისწინებს.

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘᲡ „ᲫᲚᲔᲕᲐᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ“

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲦᲕᲘᲜᲔᲤᲐᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ, ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘᲗ. ᲔᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲔᲞᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲕᲡᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲜᲘᲡ ᲣᲖᲐᲓᲝ ᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲔᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲪᲝᲓᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲘᲤ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ.

რუსუდან ღვინეფაძემ ორივე შემთხვევაში დაგვარწმუნა, რომ იგი მოწოდებით არის მთარგმენელი, რომელსაც ძალუძს, ნებისმიერი სირთულის ავტორსა თუ წიგნს შეეჭიდოს და გამარჯვებული გამოვიდეს ამ შერკინებიდან.

ამაში მალე დაგვარწმუნა ქართულად გამოცემულმა არტურ ზუტნერის „აჭარლებმა“ და მეოცე საუკუნის გამოჩენილი გერმანელი პოეტის მარი ლუიზე კაშნიცის „ლექსებმა“. სულ ახლახან კი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ ზედიზედ დაბეჭდილმა — ფრანც კაფკას, ჰალდორ ლაქსნესისა და კრისტა ვოლფის რომანებმა ცხადად დაგვანახვა, თუ რა მაღალ ნიშნულს მისწვდა მთარგმნელის პროფესიული თავგანწირვა. სხვას ვერაფერს დავარქმევ ერთ წელიწადში სამი პირველხარისხოვანი ავტორის ქართულად ამეტყველებას.

ფრანც კაფკა მსოფლიო ლიტერატურის იმდენად მნიშვნელოვანი სახელია, რომლის უკლებლივ ყველა ნაწარმოები აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნებისმიერ კულტურულ ერს, აქამდე ჩვენ არ გვქონდა მისი პირველი დაუმთავრებელი რომანის „ამერიკის“ (1911-1914) თარგმანი. ამიერიდან შეგვიძლია, მშობლიურ ენაზე გავეცნოთ მართლაც ბრწყინვალე ტექსტს, რომელიც მაქსიმალურად არის დაახლოებული ორიგინალის ღირსებებთან.

მოგეხსენებათ, ზოგადად გერმანულ ენას და მათ შორის კაფკასაც ახასიათებს გრძელი წინადადებები, რაც ნაკლებად ეგუება ქართული ენის ბუნებას. რუსუდან ღვინეფაძე იმგვარ სასუნთქს აძლევს და ისე აწესრიგებს ამ უზარმაზარ ფრაზებს ქართულ ყაიდაზე, რომ მკითხველისთვის მტანჯველად აღარ აღიქმება. რუსუდან ღვინეფაძე ქართულად ქმნის დედნის რიტმულ შესატყვისს, რომელიც გერმანული ენის სინტაქსური წყობის კალკირებას კი არ ახდენს, არამედ ქართული სინტაქსური საშუალებებით არის გამართული.

ჰალდორ ლაქსნესი ყველაზე ცნობილი ისლანდიელი მწერალია, რომლის წვლილიც ლიტერატურაში 1955 წელს ნობელის პრემიით აღნიშნეს. ისლანდიურიდან მთარგმენელი არ გვყავს ქართველებს, ამიტომ როცა გამომცემლობამ ამ ავტორის რომანის „ბრეკუკოტის მატიანის“ („Brekkukotsannall“) თარგმნა მოინდომა, მათ საფუძვლად გერმანული თარგმანი გამოიყენეს, რომელიც ორიგინალიდან ჰუბერტ ზელოვის მიერ არის შესრულებული 2011 წელს და საუკეთესოდ ითვლება. გერმანულ თარგმანში მას „Fishkonzert“ დაერქვა და ქართულ ვარიანტშიც სწორედ ამ სახელით — „თევზის კონცერტი“ გადმოვიდა.

ჩვენი ლიტერატურული სივრცისთვის ნამდვილი შენაძენია კრისტა ვოლფის „კასანდრას“ თარგმანი, რომელიც ცხადად გვარწმუნებს თუ რა აზრობრივი და მხატვრული სიმაღლეების დაპყრობა ხელეწიფება უხვი წარმოსახვის ნიჭით დაჯილდოებულ თანამედროვე გერმანელ ავტორს.



დარწუნებით შეიძლება თქმა, რომ რუსუდან ღვინეფაძის მიერ გერმანულიდან შესრულებული ეს რომანები ჭეშმარიტად შემოქმედებითი, მხატვრული თარგმანებია, სადაც ზედმიწევნით არის შენარჩუნებული დედნისთვის დამახასიათებელი რიტმის, ინტონაციის, სინტაქსური კონსტრუქციებისა და მეტყველების სახეთა შესატყვისი თავისებურება.

მახსოვს, ვახუშტი კოტეტიშვილი თავის ერთ ტელეგამოსვლაში ამგვარ რამეს ამბობდა: „მთარგმნელის შრომა უმადური შრომაა. თუ კარგი გამოვიდა, ავტორს უკრავენ ტაშს, თუ ცუდი, მთარგმნელს ლანძღავენო“.

რუსუდან ღვინეფაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კაფკას, ლაქსნესისა და ვოლფის თარგმანებით იმგვარ გამარჯვებას მიაღწია, როცა ავტორთან ერთად მის შრომასაც არ დაივიწყებენ და აღფრთოვანებას ვერ დამალავენ.

ჩვენ გერმანული ლიტერატურის ქართულად თარგმანის საკმაოდ ძლიერი სკოლა გაგვაჩნია და ძალზე სასიამოვნოა, რომ კულტურათა დიალოგის ეს ყველაზე აქტიური სახეობა დღესაც ასე სისხლსავსედ და ნაყოფიერად ვითარდება. რუსუდან ღვინეფაძე კი ნამდვილად გახლავთ ამ დიდებული მთარგმნელობითი სკოლის ღირსეული გამგრძელებელი.

რუსუდან ღვინეფაძე ამჟამად გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის ჰერმან ბროხის(1886-1951) რომანის „ვერგილიუსის სიკვდილის“ (Hermavv Broch, „Der Tod des Vergil“) თარგმანზე მუშაობს, რომელიც გაისად უნდა გამოიცეს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

„ᲪᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲔᲑᲛᲐ ᲘᲜᲒᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲐ!

„ᲛᲗᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ!“ — ᲬᲔᲠᲡ **ᲚᲔᲕᲘ ᲒᲐᲛᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚ, ᲒᲐᲣᲐᲖᲠᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ. ᲛᲔ, ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲖᲔ, ᲛᲘᲕᲬᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲓᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ!“ — ᲬᲔᲠᲡ **ᲚᲔᲓᲘ ᲒᲐᲛᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

„ᲕᲐᲜᲝ, ᲩᲐᲛᲝᲓᲘ, ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲔ ᲰᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ“!

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ „ᲕᲐᲜᲝᲡ ᲨᲝᲣᲡ“ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲨᲘ �გᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲔᲑᲘ ᲣᲡᲔᲣᲐᲓ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲜᲘᲐ. რეპლიკამ ჰერეთში მცხოვრები ინგილო ქართველები გააღიზიანა და მათმა დიდმა ნაწილმა სოციალურ ქსელში მიმართვაც გამოაქვეყნა. ისინი ვანო ჯავახიშვილს საინგილოში ეპატიჟებიან, რათა სამომავლოდ უკეთ ერკვეოდეს იქ მცხოვრები ქართველების პრობლემებში.

„ეს ორი დღეა „ვანოს შოუში“ გაჟღერებულ ვანო ჯავახიშვილის სიტყვებზე ვფიქრობ: „მარნეულელი ინგილო ქალი“(!)... მე, როგორც ისტორიული ჰერეთის მკვიდრი, გულნატკენი ვარ!!! ოდესღაც გასხვისებულ, ბედის ანაბარა დატოვებულ, რჯულისთვის თავდადებულ, ქრისტიანობაშენარჩუნებულ, ალაზანსიქით, საზღვარსმიღმა დარჩენილებს ჩვენივე ქართველები აბუჩად გვიგდებენ! მარნეულში არასდროს უცხოვრია ინგილოს, ყველამ კარგად ვიცით ეს! გულნატკენი ვარ, რადგან ის თემა აიგდეს აბუჩად, რომელსაც საინგილოში მცხოვრები ყველა ქართველი უფრთხილდება, ამაყობს ამ ისტორიული ეპიზოდით, ინგილო ქალი ჩვენთვის გმირობის მაგალითია... ვანო, ჩამოდი საინგილოში, მოინახულე შენი ისტორიული მიწა, გაიცანი ნაღდი ქართველები და აღარ გაგიჩნდება სურვილი, ასე დაგვცინო!“ — წერს ჰერეთის მკვიდრი **ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ*.*

პოსტს კომენტარებში უამრავი გამოხმაურება აქვს, ისტორიული მიწის შვილები ჯავახიშვილისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.

„მეტი საქმე არ აქვს, ჩამოვა, აბა! ჩამომსვლელი აქამდე ჩამოვიდოდა! პასუხი გაგვცეს თავის მდაბიო „იუმორზე“ და ბოდიში მოიხადოს იმავე გადაცემაში! ჩვენ, ჰერელებს, ჩვენი სიამაყე გვაქვს და ურყევი, მტკიცე ხასიათი! მე ერთ-ერთი ჰერელი ვარ და ვერ მოვისვენებ იქამდე, სანამ ბოდიშს არ მოუხდის შის მოხდა, ჰერეთში მცხოვრები, საქართველოსგან უყურადღებოდ მიტოვებული, გმირი ქართველების წინაშე. ძალიან გამიხარდება, თუ ჰერეთისთვის სხვა, სასიცოცხლო საკითხებშიც ერთსულოვნები ვიქნებით“, - წერს **ᲔᲛᲖᲐᲠ ᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ*.***

„სხვებს რომ დასცინოდა „ვიცინოდით“, სანამ ჩვენ არ შეგვეხო. სულ ვამბობ, რომ დაცინვა და ხუმრობა სხვადასხვა რამეა. სხვისი დაცინვის „ხარჯზე“ გადაცემის გაკეთება არის უზნეობა, გოიმობა და არაპროფესიონალიზმი“, — წერს **ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ*.***

რამდენიმე დღის შემდეგ, 9 დეკემბრის იმავე არხზე, გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ იმავე კონტექსტით, აბსოლუტურად უადგილოდ, „ინგილო ქალი“ ჟურნალისტმა თენგიზ გოგოტიშვილმაც გამოიყენა...

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

„ᲗᲑᲘᲚᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ“ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ, ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲔᲑᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ, ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲘᲚᲣᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ �გᲐᲛᲖᲘᲠᲖᲔ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ „ᲗᲑᲘᲚᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ“ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲘᲚᲣᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲐ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲗᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ, ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ �გᲐᲛᲖᲘᲠᲔᲑᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲖᲔ ᲤᲚᲔᲨ ᲡᲢᲠᲘᲜᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ 3D, ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲛᲔᲚᲘ, ᲤᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ �გᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲡ, ᲘᲡ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲠᲗᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ 2D ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲔᲨ ᲡᲢᲠᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲘᲚᲣᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲕᲔᲠᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ №16-ᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲙᲕᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ. ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲔᲘᲚᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲠᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲙᲕᲔᲠᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲘᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ, ᲣᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲜᲕᲐᲮᲠᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲗ. ᲔᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲝᲜ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲓᲘᲓᲘ �გᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲧᲕᲐ, ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲕᲗᲮᲝᲕᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲜᲔᲜ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ �მᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲔᲑᲔᲜ. ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲗ, ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲜᲕᲐᲮᲠᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗ“, — ᲓᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ.

ბაროკოს ფესტივალი კვლავ ჩვენთანაა

2018 წლის თბილისის ბაროკო ფესტივალი (tbf.ge), ტრადიციულად, შემოდგომაზე, ნოემბრის თვეში დაიწყო. წელს მუსიკალური სპექტაკლების რაოდენობა, წინა ფესტივალებთან შედარებით, ნაკლები იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოგვიწყვეს — ეს იყო ფესტივალის ძირითადი კოლექტივის და მასპინძლის — „საქართველოს სინფონიეტას“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი და მოცარტის „რეკვიემის“ ავთენტური შესრულება...

უცხოეთში სამეცნიერო მივლინების გამო პირველი სპექტაკლი გავაცდინე და შესაბამისად ვერაფერს მოგახსენებთ. მეორე სპექტაკლი ქართული ძალებით გაიმართა, რადგან, დანაპირების მიუხედავად, ავადმყოფობის გამო გერმანელი დირიჟორი — ქალბატონი კორნელია ფონ კერსენბროკი წელს ვერ ჩამოვიდა თბილისში. მაგრამ პროგრამა ნაკლებად საინტერესო არ გამხდარა. ქართველმა შემსრულებლებმა ჯერ ჰენდელის ულამაზესი სოლ-მინორული საორღანო პირველი კონცერტი, ოპ. 4, HWV289 შეასრულეს, სადაც ახლად შეძენილი ორღანი აჟღერდა და მერე ჰაიდნის სახელგანთქმული დო-მაჟორული კონცერტი კლავიშიანი ინსტრუმენტისთვის HobXVIII:11. ჰაიდნის კონცერტი თავისებურად შესრულდა — პირველი და მესამე (უნგრული რონდო) ნაწილები კლავესინზე და შუა ნაწილი — ორღანზე. ორღანი ჟღერდა დიდებულად — მთელი პალიტრით გაანათა ჰენდელის კონცერტში და დაჩაგრა კლავესინი, რომელიც ისედაც, სამწუხაროდ, ცუდი ჟღერადობით გამოირჩეოდა. ამ საქმეს არც შემსრულებლის ჩანაცვლებამ უშველა — ჰენდელი შეასრულა ანა ქურდოვანიძემ და ჰაიდნის კონცერტი კი — ალექსანდრე ვასაძემ. კონცერტის მეორე ნაწილი ბახის საეკლესიო მუსიკას მიეძღვნა — შესრულდა ლაიფციგის პერიოდის კანტატა BWV 42 „Am Abend aber desselbiden Sabbats“ და ნაწყვეტები კანტატიდან BWV 12. კანტატა BWV 42-ის შესავალში ულამაზესი სიმფონიაა, სადაც ჰობოის წამყვანი როლი ენიჭება. ასევე ჰობოი ჟღერს მეცო-სოპრანოს არიაშიც (Wo zwei und drei versammlet). გიორგი ქობულაშვილმა ჩინებულად დაძლია ჰობოი — ობლიგატოს პარტია. ძალზე მომეწონა ჩვენი მეცო-სოპრანო ნონა კიკალიშვილი, რომელსაც ხავერდოვანი, მკვრივი და ძლიერი ალტი ჰქონდა, მან ძველი გერმანელი მეცო-სოპრანოები მომაგონა, რომლებიც კარლ რიხტერის ხელმძღვანელობით ბახის მუსიკას ასრულებდნენ 50-60 წლებში. ბანის არია შეასრულა საოპერო მომღერალმა გივი გიგინეიშვილმა. ჩვენი ბანის ჩართვა კამერული კანტატის შესრულებაში ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ბახის პარტიას უფრო ბას-ბარიტონული ტემბრი სჭირდება. დარბაზში მოსმენისას დარწმუნებული და ამაყი ვიყავი, რადგან მიმაჩნდა, რომ კანტატა BWV42 შესრულდა სრულად. უკვე შინ მისულმა ლიტერატურას და ჩანაწერებს რომ გადავხედე, აღმოვაჩინე, რომ კანტატა დიდი კუპიურებით შესრულდა, რამაც შესრულებიდან მიღებული აღფრთოვანება შემინელა (გამოდის, რომ ბახის კანტატა სრულ ვერსიაში მაინც ვერა და ვერ შევასრულეთ!). ვფიქრობ, პროგრამაში ეს ფაქტი მკაფიოდ მინიშნებული უნდა ყოფილიყო.

19 ნოემბერს ჩვენს ორკესტრს ხელმძღვანელობდა გერმანელი დირიჟორი კრისტოფ მაიერი. ჩვენი მსმენელისათვის ძალზე უცნობი ბაროკო მუსიკა იყო წარმოდგენილი: ინგლისში მოღვაწე ჩარლზ ეივისონი, უილიამ ბოისი და ფრანჩესკო ბარსანტი, რომელთა მუსიკაში უდავოა იტალიური გავლენა და თავად იტალიელები: ვენეციელები ტომაზო ალბინონი და ანტონიო ვივალდი; ნეაპოლელი ფრანჩესკო დურანტე და მილანელი ჯოვანი ბატისტა სამარტინი. გერმანელ დირიჟორს ერთი თავისებურება ახასიათებს — ყოველი ახალი ნომრის წინ იგი აუდიტორიას მოკლე ინფორმაციას აწვდის ამ ნაწარმოების მუსიკალური ღირებულებების შესახებ. არც ახლა უღალატა მან თავის ტრადიციას. კონცერტისთვის შერჩეული ნაწარმოებების ნაწილი, კერძოდ იტალიელი კომპოზიტორების სიმფონიები სიმებიანებისათვის მათ შემოქმედების მწვერვალს არ წარმოადგენდა. მაგრამ კონცერტი საინტერესო გამოვიდა, ბისზე დირიჟორმა შეასრულა ჰენდელის ოპუს 6-ის მეშვიდე სი-ბემოლ მაჟორული კონჩერტო გროსოს ნაწილი (Hornpipe), რომელსაც ისეთი აქცენტები მისცა, რომ ჰენდელის მოყვარული არც ისე იოლად გამოიცნობდა მელოდიას.

ფესტივალის მეორე ნაწილი უფრო საინტერესო იყო, რადგან თბილისს ეწვია ცნობილი იტალიური, ძველებური მუსიკის ორკესტრი „Zefiro“ (www.ensemblezefiro.it), დაარსებული 1989 წელს იტალიელი ჰობოისტის ალფრედო ბერნარდინის (Alfredo Bernardini) მიერ. ორკესტრი ასრულებს ბაროკო მუსიკის დიდ სპექტრს, მაგრამ მეტი ყურადღება ექცევა ჩასაბერ ინსტრუმენტებს და ნაწარმოებებს, დაწერილს მხოლოდ ან უმეტესად ამ ინსტრუმენტებისთვის (პარტიტები, ოქტეტები და სონატები, მუსიკა წყალზე, მუსიკა ფეიერვერკისთვის). თბილისში ამ ორკესტრის ზუსტად ჩასაბერი ინსტრუმენტების შემსრულებლები ჩამოვიდნენ ალფრედო ბერნარდინის ხელმძღვანელობით. 22 ნოემბერს ანსამბლმა სამი ოქტეტი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწარმოები ვენაში დაწერილია: ფრანც კრომერმა შექმნა იგი 1806 წელს, მოცარტმა 1782-83 და ბეთჰოვენმა — 1792 წელს. XVIII საუკუნის ბოლოს მუსიკამ მხოლოდ ჩასაბერი ინსტრუმენტებისთვის (Harmoniemusik) დიდ პოპულარობას მიაღწია როგორც იმპერატორის კარზე, ისე არისტოკრატიულ წრეებში. აქამდე მხოლოდ სამხედრო პარადებში მონაწილე ინსტრუმენტებმა უკვე სალონებში და სასახლეებში გადაინაცვლა და ცნობილმა კომპოზიტორებმა გვერდი არ აუარეს დროის ამ მოთხოვნას. ფრანც კრომერმა (Franz Krommer, 1759-1831), წარმოშობით მორავიელმა (ჩეხეთის რესპუბლიკა), კარიერის ბოლოს ავსტრიის იმპერატორის კარზე დიდი აღიარება მოიპოვა და იმპერატორის კარის კომპოზიტორის რანგს მიაღწია. იმ დროისთვის იგი ბეთჰოვენის კონკურენტად მიიჩნეოდა. მაგრამ, დრომ მისი სახელი დაჩრდილა, მაშინ როდესაც ბეთჰოვენმა უკვდავება მოიპოვა. ოთხნაწილიან პარტიტა ოპუსი 57 მი მაჟორში გამოვყოფდი ლამაზ მეოთხე ნაწილებს, სადაც მუსიკას ვენური მხიარულება, სილაღე და სიმსუბუქე ეტყობოდა. მოცარტის სერენადა დო მინორში (Serenade KV388) საკმაოდ ვირტუოზული ნაწარმოები, რომელიც მან 26 წლის ასაკში შექმნა, მაშინ, როდესაც საბოლოოდ მოსცილდა ზალცბურგს და დიდი იმედებით გაეშურა ვენაში. მაგრამ ეს მისი ყველაზე განთქმული და დიდებული ოქტეტი არ არის. ბეთჰოვენის ოქტეტი (Parthia op.103), დაწერილი კომპოზიტორის ბონიდან ვენაში ჰაიდნთან სასწავლებლად გამგზავრების შემდეგ, მისი ახალგაზრდობისდროინდელი ნაწარმოებია. მაგრამ, ამის მიუხედავად, საოცრად მოხიბლა მსმენელი თავისი სილამაზით, სილაღით და სიცოცხლით. ბეთხოვენის ოქტეტში მეტი ჰაერი, სივრცე და ინსტრუმენტების თავისუფლება იყო. საღამო დასრულდა მოცარტის ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“ არიებისა და უვერტიურის შესრულებით, გადაკეთებული ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის. აქ იტალიელებმა მისცეს თავს უფლება და თამაშის ელემენტები შემოიტანეს შესრულებაში. ბერნარდინი კონტესას არიის დროს ჩამოვიდა დარბაზში და პირველ რიგში მჯდომ დარბაისელ ქალბატონს მოეალერსა. ბისზე შესრულდა არანჟირება მოცარტის ოპერა „დონ ჟოვანიდან“ სადაც შემსრულებლები არა მხოლოდ უკრავდნენ, არამედ თამაშობდნენ ამ დუეტს. მუსიკოსების ამ სილაღემ დარბაზი გაართო და დადებითად განაწყო შესრულებული მუსიკის მიმართ, რასაც დიდი ოვაციები მოჰყვა.

აქ არ შემიძლია, არ ვახსენო რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის აკუსტიკა. იგი არ არის სრულყოფილი — ახდენს მკაფიო (უარყოფით) გავლენას როგორც ბგერის სიხშირეებზე, ასევე ინსტრუმენტთა ბალანსზე. მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ საუკეთესო ჟღერადობა არის დარბაზის შუა რიგების შუა ადგილზე. მაგრამ ამის მიუხედავად, ოქტეტში ვალტორნები (ჰორნი) „ჩავარდნილი“ ჟღერდა და ტონი ცურავდა, რაც აიძულებდა მუსიკოსებს ხშირად ეცვალათ ძველებური ვალტორნების ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ოქტეტში წყვილ-წყვილად იყო წარმოდგენილი ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი და ვალტორნა-ჰორნი.

ფესტივალმა კულმინაციას 25 ნოემბერს მიაღწია. ქართული ორკესტრი (რომელშიც შარშანდლიდან ცვლილება მოხდა სოლისტების ბუნებრივი დინების გამო), „საქართველოს სიმფონიეტა“, როგორც აქამდე არასოდეს, ახლა ჟღერდა — შეკრული, მოქნილი, სწრაფი და თავდაჯერებული. პირველ ნაწილში შესრულდა ჰაიდნის ორი სიმფონია, რომელშიც ექვსი ჩასაბერი ინსტრუმენტი დაემატა ანსამბლ Zefiro-საგან: ორი ჰობოი, ფაგოტი და ორი ვალტორნა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ფა-მინორულ 49-ე სიმფონიას, რომელიც ჰაიდნის ცნობილ „შტორმისა და შეტევის“ სიმფონიათა ციკლს მიეკუთვნება. სიმფონიის ზოგადი მოწყენილი ტონი ირღვევა მესამე ნაწილში, სადაც მოკლე ტრიო დაწერილია ფა-მაჟორში. რადგან სიმფონიას ჰქვია „La passione“, ვარაუდობენ, რომ იგი არა საერო, არამედ საეკლესიო შესრულებისათვის იყო განკუთვნილი და კერძოდ, დიდი პარასკევისთვის, რითაც არის განპირობებული მუსიკის მკაცრი, მძიმე და ტრაგიკული ფონი.

მოცარტის რეკვიემის (Requiem რე მინორი, K^26) ავთენტური შესრულება წარმოადგენს ყველა ჭეშმარიტი მუსიკოსის ნატვრას. ამ შესრულებისთვის სპეციალური მზადება უკვე შარშან ზაფხულში დაიწყო, რადგან პარტიტურის თანახმად სიმებიანების გარდა, შესრულებას უნდა ახლდეს 2 ბასეტ ჰორნი, 2 ფაგოტი, 2 საყვირი (ტრომპეტი), 3 ტრომბონი, დაფდაფი და ორღანი პოზიტივი. ახლახან შეძენილმა ორღან პოზიტივმა დროულად მოუსწრო შესრულებას, დანარჩენი ინსტრუმენტები კი ანსამბლ „Zefiro“-ს სპეციალურად მოწვეული შემსრულებლებით შეივსო, მკითხველისათვის ნათელია, თუ რამდენი ჯაფა გაწიეს ორგანიზატორებმა ამ ერთადერთი შესრულებისთვის. დარბაზი სრულად იყო შევსებული, მეტიც, გვერდითა გასასვლელებში ჩვენ ორკესტრთან ერთად შესრულებაში მონაწილეობდა თბილისის გუნდი „ბაროკო“ (ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი) და ჩვენი ოთხი ვოკალისტი: მარია კუბლაშვილი (სოპრანო), ნუცა ზაქაიძე (მეცო სოპრანო), გიორგი დავითაძე (ტენორი) და გივი გიგინეიშვილი (ბანი). ორკესტრი გიორგი კერელიშვილის (პირველი ვიოლინო) ხელმძღვანელობით ისევე შთამბეჭდავი, შეკრული და მოქნილი იყო, რაშიც ლომის წილი, ცხადია პირველ რიგში გიორგის და შემდგომ ყველა სხვა შემსრულებელს ეკუთვნოდა. გუნდი ძალიან მოსაწონი იყო, რადგან ნაწარმოების მასშტაბურობა, მისი სიღრმეები და უნიკალური მუსიკალობა არ დაიჩრდილა. იმ საღამოს მისულ მსმენელს რეკვიემის უკვდავების უეჭველი განცდა დარჩებოდა. სოლისტების კვარტეტი ასევე კარგი იყო — გამოვყოფდი სოპრანოს, რომლის ლამაზი კამერული ხმა კარგად მიესადაგა რეკვიემს და მტკიცე ჟღერად ბანს.

რაც შეეხება გუნდს — იგი ორ ნაწილად გაიყო — ვაჟები მარჯვნივ განლაგდნენ და ქალები — მარცხნივ. მაგრამ რაოდენობრივად ქალები ჭარბობდნენ და ეს სიმღერაში ზოგჯერ ბალანსს არღვევდა. პასაჟებში კი, სადაც გუნდის სოპრანოები რამდენიმე ნაწილად იყოფოდა, ერთი-ორჯერ შესრულება არ იყო მკაფიო და ზუსტი. ზოგადად გუნდის ხმა ძლიერდებოდა დარბაზის აკუსტიკის გამო და შესრულება კამერულობას კარგავდა. თუმცა ეს მცირე ხარვეზებია და პრემიერა შედგა.

2 დეკემბერს უკვე სამეფო უბნის თეატრში გაიმართა ფესტივალის დახურვა — „საქართველოს სიმფონიეტა“ — გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ (ხელმძღვანელი — მარიამ ალექსიძე) და კონტრეტენორი მიხეილ აბრამიშვილის „ფოლიას“ სხვადასხვა ვარიანტები, ანტონიო ვივალდის საეკლესიო მუსიკა აჟღერდა ამ საღამოს თეატრში. მუსიკისა და თანამედროვე პლასტიკის სინთეზი ნამდვილად იყო ნოვატორული და საინტერესო, თუმცა ამ ეტაპზე მეტად ექსპერიმენტული.

თბილისის ბაროკოს ფესტივალი დასრულდა, დარწმუნებული ვარ, მსმენელმა დიდი სიამოვნება მიიღო და ამდენი პრემიერით განებივრებული, მოუთმენლად ელის უკვე ახალ მომავალ ფესტივალს.

დავით გიგინეიშვილი

ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყარს ბილაინი უფასო კოლოკაციის მომსახურებას მიაწვდის

მობილური ოპერატორი „ვიონი საქართველო“ (ბრენდი „ბილაინი“), საერთაშორისო ჯგუფი „ვიონის“ წევრი, აცხადებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე, რომლის თანახმადაც კომპანია ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყარში ფართოზოლოვანი ინტერნეტიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მიაწვდის უფასო კოლოკაციის მომსახურებას. ხსენებული პროექტის მიზანია, საქართველოში ტურისტულად ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ რეგიონში — ფშავი, ხევსურეთი და გუდამაყარი, რომლებიც პოპულარულია როგორც შიდა, ისე გარე ტურიზმის თვალსაზრისით, მოხდეს დაუსახლებული პუნქტებისა და ტურისტული კონცენტრაციის ადგილების მაღალსიჩქარიანი ფიქსირებული უსადენო ინტერნეტით მომსახურება.

განაცხადი მომსახურების შესყიდვის შესახებ მოთხოვნა ინტერესის გამოხატვის შესახებ

(საიდენტიფიკაციო კოდი: GTC/CS/ICS-04)
პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი

დაფინანსების წყარო:
საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი
FI N 86.379
Serapis N 2016-0404

დამკვეთი ორგანო: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების მართვა და ადმინისტრირება.

პროექტის აღწერილობა

"საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი" (GTC) მოიცავს საქართველოს საგზაო ქსელის დაახლოებით 250 კმ სიგრძის ძირითადი და შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობას და რეაბილიტაციას, რომელიც დაფინანსდება ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივი საგზაო კავშირები. ათი ინდივიდუალური სქემა იქნა წინასწარ იდენტიფიცირებული, რომლებიც ჩართულია სესხის ფარგლებში და რომელთაგან შვიდის დაფინანსება შემოთავაზებულია ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის (EIB). საავტომობილო გზების დეპარტამენტს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ამ პროექტების განხორციელებაზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს რომ სესხის ნაწილი გამოიყენოს პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის (შემდგომში "კონსულტანტი") მომსახურების დასაფინანსებლად იმისათვის, რომ გაზარდოს შესყიდვების, კონტრაქტ მენეჯმენტის, მონიტორინგის და შეფასების ეფექტურობა და ეფექტიანობა ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებულ GTC პროექტზე.

დავალების სავარაუდო ხანგძლივობაა 1 წელი, კონტრაქტის ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია 1 წლის ვადით.

კონსულტანატის მოვალებები:

- ზედამხედველობის ინჟინრის მიერ წარდგენილი ანგარიშების და სხვა მსგავსი ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება;
- ზედამხედველი ინჟინრის მიერ წარდგენილი ანგარიშების რეესტრის წარმოება;
- ინჟინრის და კონტრაქტორის მეერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯამება და ანალიზი, დამკვეთისთვის წარსადგენად;
- მონიტორინგის აქტივობების ბაზის შექმნა და რეგულარული განახლება;
- მონიტორინგის შედეგების მიხედვით ზედამხედველისთვის შედეგების შეტყობინება;
- ხელშეკრულების ცვლილებების მომზადება;
- მისაღები დოკუმენტაციის მოწოდების მონიტორინგი;
- ჩამორიცხვების შესახებ საპროგნოზო ინფორმაციის მომზადება;
- დეპარტამენტის დახმარება ჩამორიცხვების პროცედურებში.

პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება კვარტალური და დასრულების ანგარიშების მომზადებაზე, რომლებიც უნდა ფარავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ტექნიკური აღწერილობა, არსებითი ცვლილებების შედარება სამუშაოების საწყის მოცულობასთან, ასევე მიზეზები რაიმე ცვლილების შესახებ;
- პროექტის თვითოეული ძირითადი კომპონენტის დასრულების ვადის შესახებ ინფორმაციის განახლება, მათ შორის მიზეზები შესაძლო დაგვიანების შესახებ;
- პროექტის ღირებულების შესახებ ინფორმაციის განახლება, მათ შორის მიზეზები ფასის შესაძლო გაზრდაზე საწყის ღირებულებასთან მიმართებით;
- განსახლებასთან დაკავშირებული აქტივობები;
- ფინანსური საკითხები;
- გარემოზე ზემოქმედების ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის აღწერა;
- შესყიდვების პროცედურების განახლება (ევროკარვშირის ფარგლებს გარეთ);
- პროექტის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის განახლება და კომენტარები;
- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი რაც მოხდა და ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროექტის მიმდინარეობაზე.
- ნებისმიერი სამართლებრივი პროცესი, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს პროექტთან მიმართებით;

ზემოხსენებული ანგარიშების მომზადებისას, პროექტის განმახორციელებელმა კონსულტანმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან და ანგარიშვალდებული იქნება თავნჯდომარის მოადგილის წინაშე.

პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება EIB –ს მიერ დაფინანსებული GTC პროექტის ფარგლებში შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით დეპარტამენტის დახმარებაზე. ყველა სახის შესყიდვა უნდა განხორციელდეს EIB –ს შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი ვალდებულია დეპარტამენტს დახმარება გაუწიოს ყველა სახის საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვების პროცედურებში. კერძოდ:

- უნდა უზრუნველყოს, რომ შესყიდვები განხორციელდება ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით;
- მოამზადოს შესყიდვების განაცხადები;
- განიხილოს და დაამტკიცოს სატენდერო დოკუმენტაცია;
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ბანკიდან შესაბამისი დამტკიცების მიღება;
- შესყიდვების გრაფიკის მომზადება და შენარჩუნება;
- ზედამხედველობა გაუწიოს სატენდერო წინადადებების მონიტორინგს და შეფასებას;
- საჭიროების მიხედვით მასალების და მანქანა მექანიზმების შესყიდვების განხორციელება;
- სატენდერო წინადადებების შეფასების ანგარიშის მომზადება;
- სატენდერო დოკუმენტაციის დაგზავნა;

პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტი იქნება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გუნდის წევრი და იმუშავებს სხვადასხვა სამსახურთან, რათა დაეხმაროს მათ შესყიდვების, მონიტორინგის და მენეჯმენტის სისტემების დეტალებში გასარკვევად.

პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის აქტივობები ასევე უნდა მოიცავდეს EIB-ს მისიების დახმარებას და სხვა.

სავარუადო ბიუჯეტი გადასახადების გარეშე, ხელფასისა და ანაზღაურებადი ხარჯების ჩათვლით: 36,000 ევრო (ოცდათექვსმეტი ათასი)

შერჩევის პროცესში გამოყენებული იქნება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო- GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011

შერჩევაში მონაწილეობის მიღების უფლება განისაზღვრება ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოსა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების CV-ები უნდა მოიცავდეს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოცდილებას.

დავალების მოსალოდნელი დაწების თარიღია 2019 წლის იანვარი და მისი ხანგრძლივობა კი 1 წელი. იმ შემთხვევაში თუ იქნება დამკვეთის მხრიდან აღნიშნული პოზიციის შემდგომი საჭიროება და კონსულტანტის მხრიდან დამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგი, კონტრაქტი შესაძლოა გაგრძელდეს მომდევნო 1 წლის ვადით.

<u>**შერჩევის პროცესი:**</u>

ინდივიდუალური კონსულტანტი იქნება შერჩეული მათი გამოცდილების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების საფუძველზე. კანდიდატები წარმოადგენენ თავფურცელს და CV-ს რომელსაც დამკვეთი შეაფასებს შემდგები კრიტერიუმების თანახმად: განათლება და ენების ცოდნა (კი/არა კრიტერიუმი), ზოგადი გამოცდილება (20%), შესაბამისი ანალოგიური გამოცდილება (80%). შერჩევა განხორციელდება არანაკლედ სამი (3) კანდიდატის შედარების საფუძველზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გაესაუბროს კანდიდატებს რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, დეპარტამენტი უფლებამოსილია გადაამოწმოს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ინფორმაცია და მიღებული ცნობები გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

პირები, რომელთაც გააჩნიათ ქვემოთ მოცემული გამოცდილება და კვალიფიკაცია ჩაითვლებიან საუკეთესო კანდიდატებად. საკონტრაქტო მოლაპარაკებები, რომელზეც განხილული იქნება ხელფასი და სხვა ანაზღაუებადი ხარჯები, გაიმართება უმაღლესი ქულის მქონე კანდიდატთან. იმ შემთხვევაში, თუ საკონტრაქტო მოლაპარაკებები უმაღლესი შეფასების მქონე კონსულტანტთან ვერ მოხერხდა/ჩაიშალა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საკონტრაქტო მოლაპარაკებებს გამართავს შემდეგ, მეორე უმაღლესი ჯამური ქულის მქონე კანდიდატთან.

კონსულტანტის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

<u>**სავალდებულო მოთხოვნები:**</u>

- მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, სამართალში ან სხვა მსგავს დისციპლინებში;
- ინგლისური და ქართული ენების ზედმიწევნით კარგი ცოდნა;

<u>**ზოგადი გამოცდილება:**</u>

- არანაკლებ 8 წლისა;

<u>**სპეციფიური გამოცდილება:**</u>

- არანაკლებ 5 წლის გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვაში;
- არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესყიდვების მართვაში;
- არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ანგარიშგებაში;
- FIDIC MDB Harmonized contract-ზე მუშაობის გამოცდილება;
- EIB-ს მიერ დაფინანსებულ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
- ტრეინინგები პროექტების მართვაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესყიდვების რეგულაციებზე და FIDIC-ის ტიპის კონტრაქტებზე.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ.ფოსტაზე: info@georoad.ge

თავფურცლისა და CV- ს წარდგენა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე დამკვეთ ორგანოსთან არა უგვიანეს 2018 წლის 26 დეკემბრისა, 15:00 საათზე ადგილობრივი დროით:

- გამოაგზავნეთ ელექტრონულად (ელექტრონული ფოსტით):

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ბატონი ლევან კუპატაშვილი, თავჯდომარის მოადგილე
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

- ან ხელზე ჩააბარეთ დამკვეთ ორგანოს (საფოსტო მომსახურებების ჩათვლით) მისამათზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ბატონი ლევან კუპატაშვილი, თავჯდომარის მოადგილე
საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №12

შენიშვნა: *მომსახურების შესახებ ინგლისურ და ქართულ განაცხადებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება განაცხადის ინგლისურ ვერსიას.*

SERVICE PROCUREMENT NOTICE REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

(Reference Code GTC/CS/ICS-04)
Project Implementation Consultant

Source of Financing:
Georgia Transport Connectivity (GTC) Project
FI N 86.379
Serapis N 2016-0404

Contracting Authority: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RD)

Background on the Roads Department

The Roads Department is the subordinated agency of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (MRDI) and is responsible for the management and administration of the International and Secondary Road infrastructure under the responsibility of MRDI.

Background on the Project

The Georgia Transport Connectivity (GTC) project encompasses new construction and rehabilitation of approximately 250km of priority primary and secondary roads on the Georgian road network to be financed under a Framework Loan to ensure Georgia's global connectivity and local mobility. Ten individual schemes have been preliminarily identified for inclusion under the Loan, out of which seven are proposed financed by EIB. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RD) has the overall responsibility for implementation of these Projects.

The RD intends to use certain parts of the credit to finance the consultancy services of an individual on the position of a Project Implementation Consultant (afterwards "the Consultant") in order to support and facilitate the efficiency and effectiveness of procurement activities, contract management, monitoring and evaluation issues of the EIB financed project "Georgia Transport Connectivity" (GTC).

The estimated duration of the assignment will be 1 years with a possibility of further 1 year extension.

The duties and responsibilities of a project implementation consultant shall include the following:

- Collect the reports submitted by Supervision Engineer and any other relevant information on a regular basis.
- Maintain the register of reports submitted by Supervision Engineer;
- Summarize and analyze the collected information (from Engineer and Contractor) for review by the Employer.
- Develop and regularly update the database of monitoring activities.
- Provide Supervision Engineer with feedback, based on monitoring results.
- Preparation of contract amendments
- Monitor the submission of deliverables
- Preparation of the disbursement forecast
- Assist the Client in disbursement procedures

The Project Implementation Consultant will be responsible for the preparation of the quarterly and completion reports covering the following information:

- Technical description, explaining the reasons for significant changes vs. initial scope;
- Update on the date of completion of each of the main project's components, explaining reasons for any possible delay;
- Update on the cost of the project, explaining reasons for any possible cost increases vs. initial budgeted cost;
- Resettlement activities;
- Financial issues;
- A description of any major issue with impact on the environment;
- Update on procurement procedures (outside EU);
- Update on the project's demand or usage and comments;
- Any significant issue that has occurred and any significant risk that may affect the project's operation;
- Any legal action concerning the project that may be ongoing.

In the process of preparation of the abovementioned report, the implementation consultant will closely cooperate with relevant divisions of the RD and consultant will be accountable to the deputy-chairman. The site visit will be conducted according to the needs.

The implementation consultant is also responsible for the assistance in overall procurement aspects in part of the GTC project of EIB. All procurement goods, works and services have to be implemented according to the "Guide to procurement" as updated by the EIB. Implementation consultant will be in charge of assisting in all procurement of goods, works and consultant services. In particular:

- Ensure that procurement procedures are carried out in agreement with the Procurement Plan and EIB Guidelines;
- Prepare procurement notices;
- Review and approve bidding documents;
- Obtain the required approvals for bidding documents from the Bank;
- Prepare and maintain procurement schedules;
- Supervise the monitoring and evaluation of bids;
- Carry out procurement of materials and equipment as required;
- Preparation of bid evaluation reports;
- Communicate the tender documentation.

The implementation consultant shall be the team member of the Roads Department and shall work with different divisions of the Road Department to help them understand the details of the procurement, monitoring and management systems for the implementation of the Project.

The activities of the Project Implementation Consultant should also include the delivery of all reports, assistance of EIB missions etc.

NET Estimated Budget, including remuneration and reimbursable: EUR 36, 000 (Thirty Six Thousand Euro)

Applicable guidelines are GUIDE TO PROCUREMENT for projects financed by the EIB Updated version of June 2011

Eligibility as per the EIB's Guide to Procurement and relevant local legislation shall be applicable.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience relevant to the project activities.

The Assignment is expected to be commenced in January 2019 for a duration of 1 year. Subject to satisfactory performance of the candidate and the Contracting Authority's further need, the contract may be extended for another one year.

Selection Process:

Individual consultants are selected on the basis of their relevant experience, qualifications, and capability to carry out the assignment. Candidates shall submit a Cover Letter together with the CV for the assessment of the Contracting Authority on the basis of academic background and knowledge of languages (yes/no criteria), general experience (20%), relevant specific experience (80%). The selection shall be carried out through the comparison of the relevant capacity of at least three candidates among those who have expressed interest. The RD reserves the right to undertake interviews with the candidates that comply with the qualification criteria. RD also reserves the right to verify the submitted references and use obtained information for evaluation purposes. The individuals included in the relevant ranking based on the qualification criteria prescribed below shall be the most experienced and best qualified, and shall be fully capable of carrying out the assignment. The Contracting Authority shall negotiate a contract with the highest ranked individual consultant, including reasonable fees and other expenses. In case the negotiations fail with the highest qualified candidate, the RD shall proceed with inviting the next ranked individual for contract negotiations.

Qualification Criteria of the Consultant:

Mandatory requirements:

- Master's Degree in Social Sciences, Law or other relevant fields.
- Strong command of English and Georgian languages;

General Experience:

- Minimum 8 years of overall general experience;

Specific Experience:

- Minimum 5 year of experience working under IFI funded project management;
- Minimum 5 years of experience in IFI procurement management;
- Minimum 5 year of experience in reporting;
- Experience of working under FIDIC MDB Harmonized contract;
- Experience of working under EIB funded projects;
- Trainings in Project Management, IFI procurement regulations and FIDIC type of Contracts.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover Letter and CVs of candidates must be submitted in English exclusively to the Contracting Authority not later than **December 26, 2018 15:00 hours local time:**

- EITHER electronically (via e-mail) to:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Mr. Levan Kupatashvili, Deputy Chairman
Email: info@georoad.ge

- OR hand delivered (including courier services) to:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Mr. Levan Kupatashvili, Deputy Chairman
Address Kazbegi ave. 12, 0160, Tbilisi, Georgia

...ტრამპის გარემოცვიდან 16 ადამიანი რუსეთთან კონტაქტობდა

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გარემოცვიდან სულ მცირე 16 ადამიანს ჰქონდა კონტაქტი რუსეთთან 2016 წელს წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ამის შესახებ ტელეარხი CNN იუწყება.

მედიასაშუალება თავის დასკვნებს სასამართლო მასალებზე, საჯარო განცხადებებზე, მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით აკეთებს, რომლებიც 2016 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის თაობაზე გამოძიებას ეხება. გამოძიებას სპეცპროკურორი რობერტ მიულერი აწარმოებს. ის აქტიურად სწავლობს ტრამპის შტაბსა და რუსეთს შორის სავარაუდო კავშირებს.

CNN ტრამპთან დაახლოებულთა შორის ასახელებს საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ყოფილ ხელმძღვანელს პოლ მანაფორტის, დონალდ ტრამპის კამპანიის უფროს თანამშრომელს რიკ გეიცსს, ეროვნული უსაფრთხოების ექს-მრჩეველს მაიკლ ფლინს, ასევე კამპანიის მრჩეველს ჯორჯ პაპადოპოლუსს.

ტელეარხის სიაში ასევე არიან აშშ-ის პრეზიდენტის ვაჟი დონალდ ტრამპი უმცროსი, ქალიშვილი ივანკა და სიძე ჯარედ კუშნერი.

ტელეარხი აღნიშნავს, რომ აშშ-ის ყოფილი გენერალური პროკურორი ჯეფ სეშნსი ორჯერ შეხვდა სერგეი კისლიაკს, რომელიც იმ დროს ამერიკაში რუსეთის ელჩი იყო. კისლიაკს ასევე შეხვდნენ ტრამპის წინასაარჩევნო შტაბის თანამშრომელი ჯეი-დი გორდონი, კამპანიის ყოფილი მრჩეველი კარტერ პეიჯი და კუშნერის პირადი თანაშემწე ავი ბერკოვიცი. ამასთან, იმ დროს დონალდ ტრამპის საქმიანი პარტნიორი, ამერიკის კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-ის დამფუძნებელი ერიკ პრინსი ეკონტაქტებოდა რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდის ხელმძღვანელს კირილ დიმიტრიევს.

რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს მართავდნენ ტრამპის კამპანიის მრჩეველი როჯერ სტოუნი და საარჩევნო კამპანიის ყოფილი თანაშემწე მაიკლ კაპუტო. დონალდ ტრამპის ყოფილ ადვოკატს მაიკლ კოენს კავშირები ჰქონდა ორ რუსულ კომპანიასთან, რომლებსაც მოსკოვში ტრამპის ცათამბჯენის აშენება სურდათ. მათთან ასევე ურთიერთობდა აშშ-ის პრეზიდენტის ბიზნეს-პარტნიორი ფელიქს სატერი. რობერტ მიულერის გუნდმა გამოძიების შედეგებით ბრალი უკვე წაუყენა ოთხ ამერიკელს, რომლებიც ტრამპის წინასაარჩევნო შტაბთან იყვნენ კავშირში და რუსეთის 10 მოქალაქეს.

რა დაუჯდება საფრანგეთს მაკრონის საგადასახადო შეღავათები?

10 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საფრანგეთის მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა და 2019 წელს მინიმალური ხელფასის ზრდასა და სხვა საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა.

მაკრონის თქმით, 2019 წელს მინიმალური ხელფასი 100 ევროთი გაიზრდება იმ პენსიონერებისთვის, რომელთა შემოსავალი 2000 ევროზე ნაკლებია, არ დაწესდება სოციალური მოსაკრებელი, ხოლო ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება აღარ დაიბეგრება. გარდა ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებულ კრიზისზე, რომელიც ერთთვიანმა საპროტესტო ტალღამ გამოიწვია, პასუხისმგებლობის წილი გაიზიარა, თუმცა სასტიკად დაგმო პოლიციელებზე თავდასხმა.

აღსანიშნავია, რომ მაკრონის შეთავაზებები საფრანგეთის ბიუჯეტს 10 მილიარდ ევრომდე დაუჯდება.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ზედიზედ მეოთხედ

არგენტინის რაგბის კავშირმა 2019 წლის მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩების საათობრივი განრიგი გამოაქვეყნა. ტურნირი 4 ივნისადან 22 ივნისის ჩათვლით როსარიოსა და სანტა ფეში გაიმართება (სანტა ფეს რეგიონი).

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 20-წლამდელთა 12-გუნდა ელიტაში ზედიზედ მეოთხედ ითამაშებენ, რაც ისტორიული შედეგია, რადგან არც მანამდე და არც მერე„„ალაფიდან“ აღზეევებულ ნაკრებს უძლიერესთა შორის ადგილი არ შეუნარჩუნებია. პირველ ორ შემთხვევაში ილია მაისურაძის შეგირდებმა ჩემპიონატში მეოთხე მატჩი მოიგეს და მე-10 ადგილი დაიკავეს, წელს კი საფრანგეთში ირლანდიას, იაპონიასა და შოტლანდიას სძლიეს და მე-9 ადგილზე დამკვიდრდნენ.

არგენტინაში 20-წლამდელთა ჩემპიონატი მეორედ ტარდება და საქართველო „გ“ ჯგუფში ახალ ზელანდიასთან, სამხრეთ აფრიკასთან და შოტლანდიასთან ერთად ითამაშებს.

პირველ შეხვედრას 4 ივნისს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან ახალ ზელანდიასთან გავმართავთ. „უმცროსი ოლ ბლექსი“ 12 ტურნირში ჩემპიონი 6-ჯერ გახდა, ბოლოს — 2017 წელს თბილისში. მატჩი სანტა ფეში თბილისის დროით 20 საათზე (ადგილობრივი დროით 13 საათი) დაიწყება.

8 ივნისს ჩვენი დროით 17:30 საათზე (ადგილობრივი 10:30) სამხრეთ აფრიკას რისარიოში შევხვდებით. აფრიკელებს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მესამედ შევებმებით. 2017 წელს მეტოქემ 38:14, ხოლო წელს 33:27 იმარჯვა და საბოლოოდ ტურნირი მესამე ადგილზე დაასრულა. სამხრეთ აფრიკას წელს გაზაფხულზე ორჯერ სტუმრად საკონტროლო მატჩშიც შევხვდით.

12 ივნისს, ასევე 17:30 საათზე ჯგუფურ ეტაპს შოტლანდიასთან მატჩით ვასრულებთ. სქოთებს წინა მსოფლიო ჩემპიონატზე მე-9 ადგილისთვის ვეთამაშეთ და 39:31 ვძლიეთ.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

23 ქულაც, MVP-ს ტიტულიც

19 წლის ქართველმა კალათბურთელმა გოგა ბითაძემ ადრიატიკის ლიგაში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა, მისმა „მეგა ბემაქსმა“ კი მონტენეგროში ევროლიგის მონაწილე „ბუდუჩნოსტს“ დიდი ბრძოლა გაუმართა, თუმცა, 85:91 წააგო.

ბითაძე, ტრადიციისამებრ, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 31 წუთი გაატარა, სანამ მე-5 პერსონალურ ფოლს მიიღებდა. გოგამ 14-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 23 ქულას 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 4 დაფარება წაამატა.

ქართველი ლეგიონერის წინააღმდეგ 7-ჯერ დაჯარიმდნენ და მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. შედეგად, მატჩის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ტიტული სწორედ ჩვენებურს ერგო.

„მეგა ბემაქსს“ 7 მოგება და 3 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზა, მომდევნო მატჩს კი 15 დეკემბერს შინ ერთპიროვნულ ლიდერ „ცრვენა ზვეზდასთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

დანიური „რანდერსის“ ნახევარმცველმა საბა ლობჟანიძემ შესაძლოა ზამთარში გუნდი შეიცვალოს. ამის შესახებ სკანდინავიური კლუბის სპორტული დირექტორი სორენ პედერსენი საუბრობს.

მისი თქმით, „რანდერსს“ ფინანსური პრობლემები აქვს და ახალი ფეხბურთელების დამატებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ გუნდში მყოფ რომელიმე ფეხბურთელს გაასხვისებს.

„ტრანსფერებისთვის ფეხბურთელების გაყიდვა მოგვიწევს, რადგან ჩვენი ბიუჯეტი ცარიელია. ლობჟანიძეს ბევრი მსურველი ჰყავს და ფული თუ დაგვჭირდება, არაა გამორიცხული ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გავყიდოთ“, — თქვა პედერსონმა.

აქვე გეტყვით, რომ საბა ლობჟანიძემ მიმდინარე სეზონში „რანდერსის“ ღირსება 19 შეხვედრაში დაიცვა და 4 გოლი გაიტანა, მათ შორის ერთი კვირას „ვენდსისელთან“ და თავის გუნდს გამარჯვებაც მოუტანა.

* * *

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა არიენ რობენმა შესაძლოა კარიერა დაასრულოს. 34 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „ბაიერნს“ 2019 წლის ზაფხულში დატოვებს, არ იცის, გააგრძელებს თუ არა ფეხბურთის თამაშს.

„შეიძლება კარიერა დავასრულო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. „ბაიერნთან“ დამშვიდობება ადვილი არ ყოფილა, ეს მძიმე ნაბიჯი იყო, რადგან არაა ის საკითხი, რომლის გადაწყვეტა ერთ დღეშია შესაძლებელი. დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი და ახლა ბედნიერი ვარ, რადგან წასვლისთვის შესაფერისი დროა.

მომავალი? თუ ისეთ წინადადებას მივიღებ, რომელიც 100%-ით დამარწმუნებს, რომ კარგია, მაშინ კარიერას გავაგრძელებ, მაგრამ თუ ასეთი შემოთავაზება არ მექნება, კარიერის დასრულებას გადავწყვეტ“, — უთხრა ჰოლანდიელმა Kikcer-ს.



შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა“ ერთი კვირის წინათ ოფიციალურად განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ რობენი კლუბს დატოვებს. აქვე გეტყვით, რომ არიენ რობენი „ბაიერნში“ 2009 წლიდან თამაშობს, ამ პერიოდში 19 ტიტული მოიგო, 305 თამაში ჩაატარა, 143 ბურთი გაიტანა და 101 საგოლე გადაცემა შეასრულა.

* * *

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონასთან“ ბოლო ტურის მატჩის წინ „ტოტენჰემის“ ფრანგმა მეკარემ, უგო ლორისმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ არგენტინელი ლეო მესის საჯარიმო დარტყმების მოგერიება პრაქტიკულად შეუძლებელია.

„ბარსელონა“ ყოველთვის კონკურენტუნარიანი გუნდი იქნება, ისევე, როგორც „ტოტენჰემი,“ მაგრამ მათ ჰყავთ ერთი კაცი, რომელსაც მარტოს შეუძლია ნებისმიერი თამაშის მოგება — ლეო მესი, მისი საჯარიმო დარტყმების წინააღმდეგ კი ნებისმიერი მეკარე უძლურია. ის ხომ ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ უკვე გაინაღდა ლიგის პლეი ოფის სგზური.

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიზმი

პეკინი მზადაა

პეკინი-2022-ის ორგანიზატორებმა ზამთრის მომავალი ოლიმპიური და პარალიმპური თამაშებისთვის მოხალისეთა პროგრამასთან დაკავშირებული გეგმები პეკინი-2022-ის შტაბ-ბინაში მოწყობილ ღონისძიებაზე გაახმოვანეს.

ისინი მზად არიან, მოხალისედ ყოფნის მსურველთა განაცხადები მთელი მსოფლიოდან მიიღონ. ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რამდენ მოხალისეს აიყვანს საორგანიზაციო კომიტეტი.

პეკინი-2022-ის შტაბ-ბინაში მოხალისეთა პროგრამის წამოწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ადრინდელი ოლიმპიადების — პეკინი-2008-ის, ლონდონი- 2012-ის, სოჭი-2014-ის, რიო-2016-ის და პიონჩანგი-2018-ის მოხალისეები, რომლებმაც ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

გეჟან დოლიძე

◎ ოკეანის გალმა

ქვრივიშვილის პერსპექტივები

ქართველი მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი, რომელსაც დღეს ყველა ხათუნა ლორიგად იცნობს, როგორც იცით წლებია შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ამერიკის მოქალაქეა და აქტიურადაა ჩართული არამხოლოდ იქაურ სპორტულ, არამედ შოუბიზნესის ამბებშიც.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ხათუნა ქვრივიშვილმა მშვილდოსნობაში პირადად მოამზადა ცნობილი ჰოლივუდური ტრილოგიის — „შიმშილის თამაშების“ მთავარი გმირის — კაჭკაჭჯაფარას როლის შემსრულებელი მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი, რომელმაც სახელი სწორედ ამ როლის შესრულების შემდეგ გაითქვა.

ხათუნა ასევე მონაწილეობდა საკმაოდ თამამ ფოტოსესიებში და პირველი ქართველი ქალი სპორტსმენი გახდა, რომელმაც ამ ტიპის ფოტოგადაღებებში სცადა ბედი. ახლა ჰოლივუდში ხმა დაირხა, შესაძლოა „სიკვდილის თამაშების“ ახალი წიგნებიც გამოვიდეს და, შესაბამისად, ახალი სერიებიც გადაიღონო და თუკი ასე მოხდა, ქართველი მშვილდოსნის სამწვრთნელო ნიჭს მთელი მსოფლიო უკეთ გაიგებს.

მანუჩარ გიორგაძე

როცა ომი ყველაფერს ჩამოწერს, თურმე ახალსაც ქმნის!..

ომს მოაქვს ნგრევა და უბედურება, თუმცა ხშირად სწორედ ომის დროს იქმნება პროდუქტები, რომლებსაც შემდეგ ადამიანები წარმატებით იყენებენ მშვიდობიანობის დროსაც.

წარმოგიდგენთ პროდუქტების მცირე ნაწილს, რომლებიც შეიქმნა ომის დროს და, რომელთა გარეშე დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია.

1.კარტოფილი ფრი

არსებობს ამ პროდუქტის გაჩენის რამდენიმე ვერსია. თუმცა ინგლისურენოვანი წყაროების თანახმად, ამ გამოგონების ავტორია ამერიკელი ჯონ სიმპლოუ. მე-2 მსოფლიო ომის დროს მისი კომპანია იყო ამერიკული ჯარისთვის კარტოფილის ერთერთი უმსხვილესი მიმწოდებელი. მისმა კომპანიამ Simplot Dehydrating Company აითვისა კარტოფილის შრობის ახალი ტექნოლოგია და ამის შედეგად შექმნილი პროდუქტი აღმოჩნდა ძალიან პოპულარული ჯარისკაცებს შორის. 1942 წელს მან გახსნა ქარხანა ქალაქ კოლდულოში, 1944 წელს ამ საწარმოში მუშაობდა 20 000 ადამიანი. ომის შემდეგ სიმპლოუს კომპანიამ დაიწყო კარტოფილის გაყინვა და მოაწერა ხელი რამდენიმე ძალიან მომგებიან კონტრაქტს.

2. ქიმიური სასუქი

პირველ მსოფლიო ომამდე სოფლის მეურნეობა გამოირჩეოდა არასტაბილურობით, რადგანაც არ არსებობდა მოსავლიანობაზე ზემოქმედების საშუალებები. იმ დროისთვის მეცნიერებმა უკვე გაიგეს კავშირი ნიადაგში აზოტის შემცველობასა და მოსავლიანობას შორის. ამ საკითხს სწავლობდა გერმანელი მეცნიერი ფრიც გაბერი. დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს მისი კვლევების შედეგად შეიქმნა ქიმიური იარაღი, მე-2 ომის დროს გაბერის მიერ დამუშავებული პროცესი (ამიაკის სინთეზი) გამოიყენებოდა ბომბების შესაქმნელად. მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ ამ კვლევების შედეგად დამუშავებული ტექნოლოგიით დაიწყო ქიმიური სასუქების წარმოება.

3. ტამპონები

ძალების ჰიგიენის ამ საშუალების პროტოტიპი შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ცუდმა სამედიცინო მომსახურებამ შეიწირა მეტი ჯარისკაცი, ვიდრე თავად ბრძოლებმა. სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით კომპანია Kimberly-Clark-მა შექმნა ქსოვილი, რომელიც შეიწოვს სისხლს — ამ მასალას დაარქვეს Cellucotton, და ის გამოიყენებოდა ჭრილობების დროს სისხლდენის შეჩერებისთვის. ომის შემდეგ Kimberly-Clark-ში შეამჩნიეს რომ ეს პროდუქტი იწვევდა დიდ ინტერესს ქალებში, რის შემდეგაც დაიწყეს სპეციალური საფენების წარმოება. დღესდღეობით ტამპონების ყველაზე პოპულარული მოდელი — Kotex-ის პროტოტიპი შექმნა კომპამია Tampax-მა, ამჯერად უკვე მე-2 მსოფლიო ომის დროს. რამდენიმე წლის შემდეგ მათ შეცვალეს თავიანთი პროდუქტის სტრუქტურა და ფორმა, შედეგად გაჩნდა თანამედროვე ტამპონი.

4. ტეფლონი

1938 წელს 27 წლის როი პლანკეტმა შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ბალონებში მაღალი წვენით ჩატუმბული ნივთიერება ტერტაფტორეტილენი თავისთავად გადაიქცა ფხვნილად, რომელსაც აღმოაჩნდა არაჩვეულებრივი თვისებები. 1941 წელს კომპანია Kinetic Chemicals-მა მიიღო პატენტი ახალ ნივთიერებაზე — ტეფლონზე. ის აქტიურად გამოიყენებოდა ატომური ბომბის შექმნის პროცესში, რადგანაც ტეფლონი არ ატარებდა გაზებს და სხვა ფეთქებად ნივთიერებებს. ბირთვული იარაღის შექმნის და ომის დასრულების შემდეგ დაიწყო ტეფლონის გამოყენება მშვიდობიან მიზნებში.

5. შაქრის შემცვლელი

შაქრის შემცვლელის ისტორია დაიწყო 1870 წელს ამერიკელი მეცნიერის რობერტ ფალბერგის ლაბორატორიაში, სადაც ის მუშაობდა ნივთიერებასთან სახელად „სულფამინბენზომჟავა“. ერთხელაც სადილის დროს მან იგრძნო, რომ პური იყო ტკბილი, იმის მიუხედავად, რომ სამზარეულოში არავის არ გამოუყენებია შაქარი. მისი ვარაუდით, ტკბილი გემოს წყარო იყო სწორედ ის ნივთიერება — ის გავარდა ლაბორატორიაში, სადაც მისი ვარაუდი დადასტურდა. ასე განხორციელდა სახარინის სინთეზი. შაქრის შემცველი აქტიურად გამოიყენებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს, შაქრის მწვავე დეფიციტის გამო.

6. მიკროტალღური ღუმელი

ამ მოწყობილობის შექმნის ძირითადი და ყველაზე სარწმუნო ვერსია დაკავშირებულია მე-2 მსოფლიო ომთან — გერმანელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ის ფრონტზე საჭმლის მომზადების დაჩქარების მიზნით. ომის შემდეგ ეს ტექნოლოგია ჩაუვარდათ ხელში ამერიკელებს, რის შემდეგაც, 1945 წლის 8 ოქტომბერს ინჟინერმა პერსი სპენსერმა დააპატენტა პირველი მიკროტალღური ღუმელი.

7. საიზოლაციო ლენტი

პირველი იზოლენტი შექმნა ამერიკულმა კომპანია 3M-მა ჯერ კიდევ 1902 წელს. მისი მასობრივი წარმოება დაიწყო Johnson and Johnson-მა პირველი მსოფლიო ომის დროს — ეს იყო რაღაცა საშუალო სამედიცინო ბინტს და წებოვან ლენტს შორის. მოგვიანებით გაირკვა რომ ამ პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებით და ის გახდა შეუცვლელი.

8. ერთჯერადი შპრიცები

ყველაფერი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც კომპანია Syrette გამოუშვა შპრიცი გამოსაცვლელი ნემსით, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა დაჭრილი ჯარისკაცებისთვის მორფის შეყვანისთვის.



ახალი შპრიცი იყო პლასტიკური, მცირე ზომის და უფრო მოსახერხებელი, ასევე ის იძლეოდა მორფის დოზის უფრო ეფექტური კონტროლის საშუალებას.

სანთელი

მეუღლე ბონდო არველაძე, შვილი მაია, შვილიშვილი კოტე თევდორაძე, სიძე გიორგი თევდორაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ალექსანდრეს ასული კუსრაშვილი

პანაშვიდი: 12.XII, 17 საათი.
გამოსვენება: 13.XII 12 საათი.
მისამართი: მცხეთის ქ. №8, II სად. VI სართ.

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ დემურ გადელიას სიძის

ზოთა თადეოზის ძე ხარებავას

გარდაცვალების გამო.

დიდუბეში დიდი სიჩქარით მოძრავმა ავტომობილმა ექვსი მანქანა დააზიანა

თბილისში, დიდუბის მეტროსთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, HONDA-ს მარკის ავტომობილმა ექვსი მანქანა დააზიანა.

მძღოლი დიდი სიჩქარით მოძრაობდა და ის გაჩერებულ ავტომობილებს შეეჯახა. ავტომობილი სავარაუდოდ, მძღოლს არ ეკუთვნოდა. ის სამართალდამცველებმა ადგილზე დააკავეს.

ოქროს კონტრაბანდის ფაქტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულში მხილებული პირი, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების მალულად შემოტანას ცდილობდა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია 1929 გრ ოქროს ნაკეთობები, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 100 000 ლარს აღემატება.

მოსკოვში „კახა გალსკი“ დააკავეს

მოსკოვში მოსკოვში კახაბერ ფარფალია, მეტსახელად კახა გალსკი დააკავეს. რუსული მედიის ინფორმაციით, 43 წლის კახა ფარფალიამ პოლიციას დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწია. ჩხრეკისას მას კოკაინის დიდი ოდენობა აღმოუჩინეს.

მედიის ცნობით, კახაბერ ფარფალია ყველაზე გავლენიანი რუსი ე.წ. კანონიერი ქურდების რიცხვში შედის. მისი კორონაცია 1999 წელს შედგა.

ამოღებულია ნახევარ კილოგრამზე მეტი ჰეროინი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1982 წელს დაბადებული მ.ა. თბილისში დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნახევარ კილოზე მეტი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ჰეროინს შეიცავს.

სოფელ ცაიშთან ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა!

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. მომხდარს ერთი ადამიანი ემსხვერპლა და ოთხი დაშავდა, რომლებიც ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ბიძინა ივანიშვილი მილიარდერთა შორის 270-ე ადგილზეა

საქართველოს უმდიდრესი ადამიანის, მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ქონება 180 მლნ დოლარით შემცირდა, – იუწყება **Bloomberg**.

ამასთან, ივანიშვილი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში 5,62 მლრდ დოლარით 270-ე პოზიციას იკავებს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ივლისში 295-ე ადგილზე იყო.

Bloomberg-ის ინფორმაციით, მილიარდერის ქონება წლიურ მინიმუმამდე შემცირდა. 2018 წლის დასაწყისში ივანიშვილის ქონება 5,8მლრდ დოლარი იყო.

ცნობისთვის: რეიტინგში პირველ სამ ადგილს იკავებენ: „ამაზონის“ დამფუძნელები და მთავარი მეწილე ჯეფ ბეზოსი (135 მლრდ დოლარი), მაიკროსოფტის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბილ გეითსი (93,2 მლდრ დოლარი) და საინვესტიციო ჯგუფის „ბერკშაირ ჰეთეუეი“ დირექტორი და მთავარი მეწილე უორენ ბაფეტი (84,3 მლრდ).

მსოფლიო ავიაციაში 2037 წლისთვის მგზავრთა გაორმაგებას პროგნოზირებენ

2037 წლისთვის მსოფლიოში ავიამგზავრების რაოდენობა შესაძლოა, გაორმაგდეს და 8.2 მლრდ მგზავრს მიაღწიოს.

IATA-მ უახლოესი 20 წლის პროგნოზებს ავიაგადაზიდვებს ზრდასთან დაკავშირებით გადახედა. ანალიტიკოსების განმარტებით, ავიაგადზიდვები ყოველწიურად საშუალოდ 3.5%-ით გაიზრდება, რაც დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენის წინაპირობაც იქნება.

IATA-ს პროგნოზით, მოწინავე პოზიციას აშშ ჩინეთს წაართმევს და 2020 წლისთვის უმსხვილესი საავიაციო ბაზარი გახდება. ინდოეთი კი 2024 წლისთვის მსოფლიოს უმსხვილეს ავიაბაზრებში მოხვდება და მესამე პოზიციაზე დიდ ბრიტანეთს ჩაანაცვლებს. ინდონეზია, რომელიც 2017 წელს მსოფლიო ავიაბაზარზე მეათე პოზიციაზე იყო, 2030 წლისთვის მეოთხე ადგილზე იქნება.

მეოცე საუკუნის ყველაზე პოპულარული სიმღერა

Queen-ის კომპოზიცია Bohemian Rhapsody cnhbvbyu-სერვისებზე მეოცე საუკუნის ყველაზე პოპულარულ სიმღერად დასახელდა. ამის შესახებ Universal Music Group-ი Twitter-ში წერს. მედიაჰოლდინგის ვერსიით, კომპოზიციას 1,5 მლრდ – ჯერ მოუსმინეს.

Bohemian Rhapsody ბრიტანული ჯგუფის ლიდერმა ფრედი მერკურიმ 1975 წელს დაწერა. სიმღერა გამოირჩევა უჩვეულო მუსიკალური ფორმით და ოთხი სხვადასხვა სტილით: ა-კაპელით, ბალადით, ოპერითა და როკით. Billboard-ის ვერსიით, მუსიკალური ნაწარმოები სამჯერ შევიდა Hot 100-ში – 1975, 1992 და 2018 წლებში.

TIME-მა წლის ადამიანად ჯამალ ხაშოგი დაასახელა

ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა წლის ადამიანად საუდელი ჟურნალისტი ჯამალ ხაშოგი დაასახელა. ნომინაცია ჟურნალის საიტზე გამოქვეყნდა და ამერიკული ტელერახის NBC-ის ეთერში გაჟღერდა.

გამოცემის მთავარი რედაქტორის ედვარდ ფელსენტალის თქმით, TIME-მა წლის პერსონად პირველად დაასახელა ადამიანი, რომელიც გარდაცვლილია.

წლის ადამიანის ტიტულის პრედენდენტები ასევე იყვნენ დონალდ ტრამპი, ვლადიმირ პუტინი, სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი, აშშ-ის სპეციალურ პროკურორი რობერტ მიულერი, რომელიც აშშ-ის 2016 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევის საქმეს იძიებს, სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მუნ ჩუე ინი და ა.შ.

ჟურნალმა „წლის ადამიანის“ გამოვლენა 1927 წლიდან დაიწყო.

ევროპაში შოპინგისთვის საუკეთესო ქალაქების TOP-10

MyvoucherCodes-ის პორტალის ექსპერტებმა შოპინგისთვის საუკეთესო ქალაქების რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგი რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შედგა, მათ შორის იყო პროდუქციის ხარისხი და გარდერობის შესავსებად საჭირო საქონლის საშუალო ფასები, ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა, საუზმის ფასი და ასე შემდეგ.

მაშ ასე, შოპინგისთვის ხელსაყრელი ევროპული ქალაქების TOP-10 ასე გამოიყურება:

1.სტამბოლი (თურქეთი); 2. სანკტ-პეტერბურგი (რუსეთი); 3. კიევი (უკრაინა); 4. მოსკოვი (რუსეთი);5. ვარშავა (პოლონეთი); 6. ბუდაპეშტი (უნგრეთი); 7. სოფია (ბულგარეთი); 8. ბუქარესტი (რუმინეთი); 9. მინსკი (ბელარუსი); 10. კრაკოვი (პოლონეთი) .

სუნთქვას დროზე უნდა მიხედვა!

ხვრინვა ბავშვის მოქცევას ცვლის. ძილის დროს ცხვირის სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები 69 პროცენტით ზრდის ჰიპერაქტიურობის სინდრომის განვითარების რისკსა და ყურადღების დეფიციტს, აგრეთვე ბავშვებში სხვა სახეობის ემოციურ და ყოფაქცევით პრობლემებს წარმოშობს.

ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ ძილის დროს ბავშვებში სუნთქვის დარღვევა ჟანგბადის უკმარისობას იწვევს, რაც უარყოფითად მოქმედებს განვითარებად ტვინზე.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6682; ევრო - 3.0324;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4009
100 რუბლი - 4.0063; თურქული ლირა - 0.4992;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5696;
1000 სომხური დრამი - 5.5014.

ამინდი 12 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge